ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

akhalitaoba.ge



**ეკა გიგაური: „მურუსიძეს ერთხელ შევხვდი და ისე შეშინებული იყო, სასამართლოდან წასვლა უნდოდა“** გვ.4

„დიახ, მე კაპიტანი ვარ და ამაში სათაკილო არაფერია“

**24 იანვრიდან**

ავთანდილ ბუხრაშვილი

**მყუდრო აგარაკის საიდუმლოება**

ქართული დეტექტივი



ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

ხუთშაბათი, 24 იანვარი, 2019 №19 (7874) ფასი: 60 თეთრი

# „ივანიშვილი მიდის და ძალაუფლებას გახარიას უტოვებს“

„ბოკერიას ხელისუფლებაში მოსვლის ყველაზე მეტი შანსი აქვს“



გვ.2



გვ.5

## „კურიერის“ ჟურნალისტმა ინტერპოლით ძებნილი ჯეკ შეპარდი ქართულ პოლიციაზე ადრე იპოვა

## ვის დასჯის ივანიშვილი?



გვ.6

„ქართული ოცნება“ განკითხვის მოლოდინშია

## იტალიაში ქართველი მხატვარი თამარ მოდებაძე ქართველმა მოკლა



გვ.7

რა მოხდა ნეაპოლში



გვ.3

**„კალაძე ჰგავს საბჭოთა პერიოდის უნიჭო მოძველბიჭო მეშვიდეკლასელს“**

შოთა მალაშხია: „კრიმინალი გახდა ამ სახელმწიფოს ცხოვრების არსი“



გვ.6

## ხაბეიშვილი კალაძეს მიუვარდა

**სალომე სამადაშვილი: „საქართველო უვიზო მიმოსვლის დაკარგვის რეალური საფრთხის წინაშე დგას“**



გვ.3

**ნუკრი ქანთარია: „იუსტიციის საბჭოს ნაჯახით ვერ შევუვარდებით და თავებს ვერ დავაყრევინებთ!“**



გვ.4

**ვახტანგ მაისაია: „სააკაშვილი უკრაინაში არასერიოზულ და კომიკურ ფიგურად აღიქმება“**



გვ.5

**სამართალი** გვ.7



**ქალადობაში ბრალდებული გეგა გეგეშიძე დუმილის უფლებას იყენებს**



**ადვოკატი ტაბატაძე: „გარდაცვლილი 4 წლის გოგონას დედა, ლელა ქსოვრელი, თავს დამნაშავედ არ მიიჩნევს“**



**ბათუმის სამხედრო ნაწილში სამხედრო დაჭრეს**

ის მართვით სუნთქვაზეა გადაყვანილი

ISSN 1987-9385

9 771987 938006

6 გედევან ფოფხაძე: „არასდროს დამიმალავს საკუთარი პოზიცია, რომ უვადოდ დასაჭერი მოსამართლეები უვადოდ ინიშნებოდნენ“

7 „დღეს სასამართლო ხელისუფლება გზაგასაყარზე დგას“

6 „წითელას აცრისგან თავი არ შეიკავოთ“

7 საბავშვო ბაღში ბავშვმა სადეზინფექციო ხსნარი დალია

გამოძიება 124-ე მუხლით დაიწყო

# „ივანიშვილი მიდის და ძალაუფლებას გახარიას უტოვებს“

## „ბოკერიას ხელისუფლებაში მოსვლის ყველაზე მეტი შანსი აქვს“

შორენა მარსაგიშვილი

დარჩება თუ არა ძალაუფლება „ევროპულ საქართველოს“, ვის აბარებს ხელისუფლებას ივანიშვილი, ვინ არწმუნებს მას იმაში, რომ ჭარბი ნდობა აქვს? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ „ქართული მარშის“ ლიდერი **სანდრო ბრეგაძე** ესაუბრება.

***– ქვეყანაში ყველა მიმართულებით არეულობაა. აირია მონასტერი, აირია მთავრობა, აირია ჭიდაობის ფედერაცია. რას უკავშირდება ეს საყოველთაო არეულობა?***

– ეს პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ ბიძინა ივანიშვილს მართვის სადავეები ხელიდან გაექცა. ის ველარ მართავს სიტუაციას. ყველაზე ცუდი ის არის, რომ თავად ივანიშვილი ამას ვერ ხვდება.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ჩვენ არაერთხელ ვნახეთ, თუ როგორ დაღუპა გარე-



მოცვამ ესა თუ ის მმართველი. ასლან აბაშიძეს და ედუარდ შევარდნაძეს გარემოცვა ბოლო წუთამდე უმტკიცებდა, რომ ისინი კვლავ თეთრ ცხენზე ისხდნენ და ხალხის მხარდაჭერა ჰქონდათ.

ვერც ერთი და ვერც მეორე მანამდე ვერ მიხვდა სინამდვილეში რა ხდებოდა, სანამ ხალხი არ მიადგა და კარზე არ მიუკაკუნა. ტახტიდან ჩამოგდებული ბელადები პირველებმა მლიქვნელი გარემოცვის წევრებმა უარყვეს.

დღეს ივანიშვილი ზუსტად ასეთ მდგომარეობაშია – მის გარშემო შემოკრებილია მლიქვნელების გუნდი. ეს ხალხი მას რეალურ ვითარებას არ აცნობს. ეუბნებიან მხოლოდ იმას, რაც „ოცნების“ ლიდერს ესიამოვნება. ამით ეს მლიქვნელები საკმაოდ სერიოზულ სარგებელს ნახულობენ.

***– რა სარგებელს?***

– სერიოზულ მატერიალურ სარგებელს. მათი წყალობით ივანიშვილი აბსოლუტურად არის მოწყვეტილი რეალობას. „ოცნების“ ლიდერს დღესაც რომ ჰკითხოთ, ხალხის როგორი მხარდაჭერა გაქვთ, იტყვის, რომ მას აქვს ჭარბი ნდობა. არადა არანაირი ნდობა აღარ აქვს.

***– ნდობა რომ აღარ აქვს, ამაში საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებით უნდა დარწმუნებულიყო.***

– ვერ დარწმუნდა. არჩევნების შემდეგ მასთან მივიდა მლიქვნელების ჯგუფი გოგა ხაინდრავას მეთაურობით. მლიქვნელთა ჯგუფს ეს ტიპი უდგას სათავეში და ყველაზე დიდ სარგებელსაც ნახულობს.

***– ადვილი წარმოსადგენია, როგორი იქნება ჯგუფი, რომელსაც ხაინდრავა უხელმძღვანელებს.***

– ამ ჯგუფში წითელი ინტელიგენციის ნარჩენები არიან გაერთიანებული. არჩევნების შემდეგ ისინი მივიდნენ ივანიშვილთან და არწმუნებდნენ, სალომე ზურაბიშვილი იყო სუსტი კანდიდატურა, თორემ თქვენ ძალიან დიდი მხარდაჭერა გაქვთო.

***– იმან დაიჯერა, რომ ჩავარდნა ზურაბიშვილის ბრალი იყო?***

– მლიქვნელებმა ამაში დაარწმუნეს. მათი შთაგონებით, ივანიშვილს სჯერა, რომ ხალხში ჭარბი ნდობა აქვს.

***– ამბობთ, რომ ივანიშვილმა დაიჯერა, რომ საარჩევნო ჩავარდნა სალომე ზურაბიშვილის ბრალი იყო. ეს „ოცნების“ ლიდერის და პრეზიდენტის დაპირისპირების მიზეზი ხომ არ გახდება?***

– დაპირისპირება არ იქნება. გარიგებით, რასაც სახელად სალომე ზურაბიშვილის გაპრეზიდენტება ჰქვია, ორივე მხარე მოგებული დარჩა.

„ოცნების“ ლიდერს ჰგონია, რომ საფრანგეთიდან მიიღო ხელშეუხებლობის გარანტიები. მას გულუბრყვილოდ სჯერა, რომ ზურაბიშვილი საფრანგეთის ხელისუფლების მხარდაჭერას მოუპოვებს. ეს, ჩემი ღრმა რწმენით, გამორიცხულია. სალომე ზურაბიშვილმა ძალიან კომფორტული საპენსიო სიტუაცია მიიღო. ორივე მხარე კმაყოფილია და მათ შორის დაპირისპირება არ იქნება.

ივანიშვილს წინ ბევრი სხვა უსიამოვნება ელოდება. ის ვერ ხვდება, რომ „ქართული ოცნება“ სრულად გაკოტრებულია. 24 იანვარს ის „ოცნებასთან“ გამართავს შეხვედრას. პარტიის თავმჯდომარე ფიქრობს, რომ თუ რაღაც გადაადგილებებს განახორციელებს, ამით ქვეყანას ეშველება.

ეს ქვეყანას არ უშველის. მოსახლეობას საერთოდ არ აინტერესებს, „ოცნების“ ლიდერი თმაგაჩეჩილი ირაკლი კობახიძე იქნება თუ მამუკა მდინარაძე. ხალხს სხვა რამე აინტერესებს – მას სოციალური პრობლემების გაუმჯობესება სურს.

საქართველოში ჩაკეტილია მომავლის სივრცე. მომავლისკენ ვერავინ ვერ ვიხედებით.

ისეთი უნიათო ახალი წელი, როგორც წელს იყო, გასული საუკუნის 90-იან წლებშიც კი არ ყოფილა. ეს ახალი წელი პრემიერმინისტრ ბახტაძეს ჰგავდა, რომელიც არც წყალია და არც ღვინო.

ერთი ჩემი მეგობარი პუბლიცისტი მეუბნებოდა, ბახტაძეზე მინდოდა რაღაც კრიტიკულის დაწერა, მაგრამ ვერ მოვახერხე, რადგანაც ეს კაცი არაფერს არ აფუჭებსო. გაფუჭებით იმიტომ ვერ აფუჭებს, რომ არაფერს აკეთებს.

ქართული სახელმწიფო ივანიშვილმა სრულ სტაგნაციაში ჩააგდო. ახლა მას ჰგონია, რომ თუ პარტიის შიგნით „რაზბორკებს“ მოაწყობს და, ვთქვათ, თალაკვაძეს დააქვეითებს, ქართველი ერი იქნება ბედნიერი. ბოდიში ამ გამოთქმისთვის, მაგრამ ქართველ ერს სულ ფეხებზე ჰკიდია ყველა ის მეოცნებე, რომელიც ბიძინას თავის პიტომნიკში ჰყავს შეყრილი.

***– მიგაჩნიათ, რომ პარტიაში „რაზბორკებით“ ვერაფერს შეცვლის, მაგრამ სამთავრობო ცვლილებებით შეუძლია ხალხის ყურადღების მიპყრობა. იქნება სამთავრობო ცვლილებები?***

– სამთავრობო ცვლილებებისთვის მზადება უკვე დაწყებულია. ივანიშვილი გახარიას უმზადებს პლაცდარმს. მთელი ხელისუფლება ისედაც უკვე მის ხელშია.







### სანდრო ბრეგაძე: „გოგა ხაინდრავას დაჯგუფება „ოცნების“ ლიდერს უმტკიცებს, რომ მას ჭარბი ნდობა აქვს“

***– რანაირად არის მის ხელში?***

– შსს მის ხელშია და სუსი. გახარია აკონტროლებს ეკონომიკურ გუნდს. ივანიშვილი მას აბარებს ხელისუფლებას.

***– რასაც, როგორ ამბობენ, ეწინააღმდეგება კალაძე.***

– ეგ არ ვიცი, ეს დაპირისპირება საჯაროდ არ გამოსულა. ღიად ის ჩანს, რომ მიმდინარეობს შს მინისტრისთვის ძალაუფლების გადაბარება. ისეთ სურათს ხატავენ, თითქოს ის არის ქვეყნის გადამრჩენელი.

***– რანაირი გადამრჩენელია, მისი შს მინისტრობისას წინა წელთან შედარებით დანაშაული 60%-ით გაიზარდა.***

– რეალურად რა ხდება, ეს სხვა თემაა. მე იმაზე გესაუბრებით, რა ყალბ მითებსაც ქმნიან გახარიაზე.

სარწმუნო წყაროებიდან მაქვს ინფორმაცია, რომ ივანიშვილი მართლა აპირებს პოლიტიკიდან წასვლას და ძალაუფლებას შს მინისტრს უტოვებს. ეს არ და ვერ გამოვა.

***– რატომ არ გამოვა?***

– პირველ რიგში იმიტომ, რომ გახარია არ არის ის ფიგურა, რომელიც სახელმწიფოს დამოუკიდებლად მართვას შეძლებს.

„ქართული ოცნების“ დღეები დათვლილია. მმართველ პარტიას ქართველი ერი ძალიან მალე შეუწყვეტს უფლებამოსილებას. ეს გარდაუვალი პროცესია. ყველაფერი აქეთ მიდის. საკითხავი მხოლოდ ის არის, ვინ შეცვლის მათ.

***– „ოცნებაში“ როცა ბესელიასთან დაკავშირებით დაიწყო არეულობა, თქვენ თქვით, რომ გქონდათ ინფორმაცია, რას აპირებენ ვანო ზარდიაშვილი და მამუკა მდინარაძე. ამბობდით, ამ ტიპებმა თქვეს, ივანიშვილსაც იგივეს ვუზამთ, რაც ბესელიას დავმართეთო. გახარიას სანამ გადააბარებს ძალაუფლებას, მანამდე ხომ არაფერს გაუჩალიჩებენ „ოცნების“ ლიდერს?***

– „ოცნების“ საპარლამენტო გუნდს აქვს იმის ილუზია, რომ ისინი არიან რეფორმატორები. დაახლოებით ისეთ იმიჯს იქმნიან, როგორიც ჟვანია-სააკაშვილს ჰქონდა შევარდნაძის მთავრობაში.

სააკაშვილის და ჟვანიას მიმართ დადებითად არასდროს ვყოფილვარ განწყობილი, მაგრამ სად ისინი და სად კობახიძის გუნდი.

***– ჟვანია-სააკაშვილი მართლა სხვა დონე იყო.***

– რა თქმა უნდა. როგორ შეიძლება მათ შევადაროთ ზარდიაშვილი და მდინარაძე. ესენი არიან ჩვეულებრივი ზონდერები, რომლებიც ნაცმოძრაობამ ააყვავა. ამის მიუხედავად, მათ აქვთ ხელისუფლების ხელში ჩაგდების მცდელობა. ადრე თუ გვიან, ისინი ღიად დაუპირისპირდებიან ივანიშვილს.

***– რას მიაღწევენ ამ დაპირისპირებით?***

– თავიდან შეეცდებიან მისთვის სერიოზული პრობლემების შექმნას. რაღაც პრობლემებს კიდევაც შეუქმნიან, მაგრამ ხელისუფლებაში ვერასდროს მოვლენ, როგორც დამოუკიდებელი ძალა. ეს გუნდი პოლიტიკურად იმდენად იმპოტენტია, რომ ხელისუფლებას სათავეში ვერ ჩაუდგება.

დღეს საქართველო ძალიან მძიმე დღეშია. ჩვენ გვყავს უვარგისი ხელისუფლება. ხელისუფლების წიაღში აღმოცენებული ჯგუფები კიდევ უფრო უვარგისები არიან.

ყველაზე მთავარი და ცუდი ისაა, რომ „ოცნებას“ უახლოეს მოკავშირედ ჰყავს გიგა ბოკერია და გიგი უგულავა. ეს გასაკვირი არ არის, „ევროპული საქართველო“ „ქართულმა ოცნებამ“ შექმნა.

ერთი რამ კარგად იცოდეს მკითხველმა, ბოკერიას უფრო მეტი შანსი აქვს ხელისუფლებაში მოსასვლელად, ვიდრე გახარიას და ე.წ. რეფორმატორების გუნდს.

***– საიდან ასეთი შანსები ბოკერიას გუნდს?***

– მათ ხელისუფლების მხარდაჭერა და უდიდესი ფინანსები აქვთ. რაც მთავარია, მათ აქვთ დიდი საერთაშორისო მხარდაჭერა.

***– იქნებ სწორედ მათთვის მიდის ხელისუფლების გადაბარება და გახარიას ნაცვლად მათ დაასახელებს მემკვიდრედ ივანიშვილი. ამას გამორიცხავთ?***

– ამ ეტაპზე ივანიშვილი გახარიასთვის აპირებს ძალაუფლების გადაბარებას, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს.

***– რატომ არ ნიშნავს?***

– ივანიშვილი ძალიან ხშირად იცვლის პოზიციებს. შეიძლება ადამიანი მისი ფავორიტი იყოს და მეორე დღეს საერთოდ მოიშოროს.

უშუალოდ ვარ მომსწრე, თუ როგორ არ იცოდა პრემიერმა გადადგომამდე ორი დღით ადრე, რომ ის უნდა გადამდგარიყო.

***– ირაკლი ღარიბაშვილზე საუბრობთ?***

– რა მნიშვნელობა აქვს, ვისზე ვსაუბრობ. უკეთეს დღეში არც გიორგი კვირიკაშვილი იყო.

***– იმას რაღა დაემართა?***

– არც მან იცოდა, რომ უნდა გადამდგარიყო. ამის გარდა, როცა მეორედ ამტკიცებდნენ მთავრობის მეთაურად, ისიც კი არ იცოდა, თუ ვინ იქნებოდა მის კაბინეტში შინაგან საქმეთა მინისტრი.

***– რანაირად არ იცოდა?***

– ჩვეულებრივად. როგორც მთავრობის ყოფილი წევრი, გეუბნებით, რომ მთავრობის დამტკიცებამდე ორი დღით ადრე პრემიერმა არ იცოდა, ვინ იქნებოდა შს მინისტრი.

გიორგი კვირიკაშვილი ნერვიულად სცემდა ბოლთას და ელოდებოდა ზარს შუშის სასახლიდან – ვის გვარს დაასახელებდა ივანიშვილი.

წარმოიდგინეთ, სად ვცხოვრობთ და კიდევ სახელმწიფოზე და ქვეყანაზე გვაქვს პრეტენზია. არანაირი სახელმწიფო და ქვეყანა აღარ გვაქვს.

როგორ შეიძლება ჩვენ სახელმწიფო გვერქვას, როცა სახელმწიფოს მიერ მართული ტელევიზიები ლევან მურუსიძეს აპიარებენ. იმ მურუსიძეს წმენდენ ნამუსს, რომელიც სისხლიანი რეჟიმის შემოქმედი იყო.


ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru



რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „კალაძე ჰგავს საბჭოთა პერიოდის უნიჭო მოძველბიჭო მეშვიდეკლასელს“

## შოთა მალაშხია: „კრიმინალი გახდა ამ სახელმწიფოს ცხოვრების არსი“

მარიამ მჭედლიშვილი

გაერთიანება „ძალა ერთობაშია“-ს გეგმებსა და მიმდინარე აქტუალურ საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა გაერთიანების წარმომადგენელს, ქრისტიან-კონსერვატიული პარტიის ლიდერ **შოთა მალაშხიას.**

***— ოპოზიციის მხრიდან აღარ გაისმის ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების მოთხოვნა, საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების თემამაც უკანა პლანზე გადაიწია.***

— ასე არ არის. არც ერთი მოთხოვნა არ მოხსნილა დღის წესრიგიდან. „ძალა ერთობაშია“-ს წარმომადგენლები ვაპირებთ მოსახლეობაში ხელმოწერების შეგროვებას იმისთვის, რომ მივაღწიოთ ვადამდელ არჩევნებს, ასევე იმას, რომ მომავალი საპარლამენტო არჩევნები ჩატარდეს პროპორციული სისტემით.

აქტიურად ვივლით რეგიონებში. ხალხი მთლიანად იზიარებს როგორც ჩვენ შეხედულებებს „ქართულ ოცნებაზე“, ისე ჩვენ მოთხოვნებს, რომლების შესრულება აუცილებელია ქვეყანაში შექმნილი კრიზისის დასაძლევად.

***— „ქართულ ოცნებაში“ არ ჰგონიათ, რომ კრიზისია.***

— ამ ხალხისთვისაც დადგა კრიზისი. ეს იმის გამო კი არ მოხდა, რომ ამ ადამიანებმა ქვეყანაში შექმნილი კრიზისული მდგომარეობის გამო პასუხისმგებლობა იგრძნეს, არამედ, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე.

***— ძალაუფლებას კარგავენ?***

— მათი კეთილდღეობა და პრივილეგიების მომავალი გაურკვეველია. ის კი არ აწუხებთ, რომ მოსახლეობას, უმუშევრითა და დასაქმებულით დაწყებული, პენსიონერით დამთავრებული, მდგომარეობა გაუუარესდა. „ქართული ოცნების“ წევრებს, ჩინოსნებს დისკომფორტი აქვთ პირადი დაინტერესების გამო. ისინი მთლიანად ბიძინა ივანიშვილზე არიან ჩამოკიდებული.

ივანიშვილმა ისეთ მდგომარეობაში ჩააყენა ქვეყანა, რომ ამ ფენას საძირკველი შეერყა. ზოგიერთმა ბოლომდე ვერ მიიყვანა ფეშენებელური სასახლის მშენებლობა, ზოგიერთს ანაღვლებს, იქნება თუ არა მომავალ საარჩევნო სიაში ან მთავრობაში. ქვეყანაში რომ კრიზისია, იმასაც გრძნობენ. რასაც მათ საპრეზიდენტო არჩევნები დაარქვეს, ეს არჩევნები არ იყო, განსაკუთრებით, მეორე ტურში.

***— „ქართული ოცნების“ შიგნით მიმდინარე პროცესები გაურკვევლობის ბრალია?***

— ყველას უნდა პრივილეგიების შენარჩუნება, მაგრამ ადგილები იზღუდება. ფერწასულმა ივანიშვილმა პირველი ტურის შემდეგ ხალხს პირობა მისცა, რომ ყველაფერს დაალაგებდა. მან მართლაც დაიწყო სიტუაციის დალაგება მმართველი პარტიის შიგნით. ის საქმეებს არჩევს.

***— მანამდე კვირიკაშვილსაც ხომ გაურჩია საქმე? ეს არჩევნებამდე იყო.***

— კვირიკაშვილსაც გაურჩია საქმე, მაგრამ მაშინ ის ბევრად უკეთ გრძნობდა თავს, ვიდრე ახლა. საპრეზიდენტო არჩევნებით მან თავზე ლაფი დაისხა. გაყალბებით, კრიმინალური ავტორიტეტების ჩართვით დაწყებული, ფულით, ხახვის დარიგებით, ტერორითა თუ დაშინებით დამთავრებული ყველაფერი გამოიყენეს.

პირველი ტური მმართველმა პარტიამ წააგო. მეორე ტურის შედეგიც გაყალბებულია. ასე რომ, „ქართულმა ოცნებამ“ მარცხი განიცადა. ეს მსოფლიომ ნახა. ამ არჩევნებს მკაცრი საერთაშორისო შეფასება მიეცა. ამ არჩევნებამდეც მძიმე სიტუაცია იყო ყველა სფეროში. არჩევნებმა ყველაფერი გააშიშვლა და ვითარება უფრო დაძაბა. ჩვენსას ვერ მივაღწიეთ, მაგრამ მთავარი საპარლამენტო არჩევნებია.

***— საპარლამენტო არჩევნების გაყალბებაც შეიძლება.***

— ამას კი ხალხი აღარ დაუშვებს. საზოგადოებას პროტესტი უგროვდება. საქართველო ხომ სახელმწიფო აღარ არის! ივანიშვილმა ქვეყანა გადააქცია გეოპოლიტიკური კონტექსტიდან ამოვარდნილ მივარდნილ სოფლად. აქ სტრუქტურები არ მუშაობენ და კლანი აკეთებს იმას, რაც მოესურვება.

შეხედეთ, რა ხდება სპორტულ ფედერაციებში! ჭიდაობის ფედერაციამდე სხვაგან იყო მუშტი-კრივი. კრიმინალი გახდა ამ სახელმწიფოს ცხოვრების არსი. დანაშაულის მატებაც აშკარაა. არჩევნების დროსაც ვნახეთ ძალადობის შემთხვევები.



„პოლიციის მხრიდან დევნისგან დაზღვეული არა ვართ, მაგრამ ბრძოლას არ შევწყვეტთ“

***— არჩევნების შემდეგ ოპოზიცია ქუჩაშიც გამოვიდა, მაგრამ — უშედეგოდ.***

— რეალურად, ვაშაძე გამარჯვებულია. მსოფლიოში არსებობს მესამე ტურის ჩატარების პრეცედენტები. კარგი იყო, ამისთვის მიგვეღწია, მაგრამ ეს ხალხი ამისთვის უნდა მოგვემზადებინა. მოუმწიფებელ იდეას საზოგადოება არ გამოხმაურებოდა.

***— რეგიონებში სიარულს აპირებთ. პოლიციისგან რა რეაქციას ელით?***

— პოლიციის მხრიდან დევნისგან დაზღვეული არ ვართ, მაგრამ ბრძოლას არ შევწყვეტთ. ამ ხელისუფლებისგან არც დაპატიმრება გაგვიკვირდება და არც შევიწროება.

ხალხი ჩვენთანაა. ამაზე მეტყველებს 800.000-ზე მეტი მიღებული ხმა. ხელისუფლება ამაზე უნდა დაფიქრდეს, თორემ, ამ რაოდენობის და ბევრად მეტი ადამიანის ქუჩაში გამოსვლით წერტილი დაესმება. ამ რიცხოვნობის არმია საქართველოს არ ჰყოლია.

საზოგადოება ამ ხელისუფლებას კრიმინალის წარმომადგენლებად აღიქვამს. მარტო თბილისის მერი რად ღირს! ის ძველი ბიჭიც არ არის. ძველი ბიჭი უფრო უკეთესად მოიქცეოდა. კალაძე ჰგავს საბჭოთა პერიოდის უნიჭო მოძველბიჭო მეშვიდეკლასელს, რომელსაც დიდი ამბიციები აქვს.

***— ხალხი საგონებელშია ჩავარდნილი მერის ცინიკური ლაზღანდარობით.***

— ნარმანიას ვაკრიტიკებდით. მის შემდეგ გვყავს ნარმანიაზე უარესი მერი, დღევანდელი პრეზიდენტიც მარგველაშვილზე უარესია. დანაშაულმა წალეკა ქვეყანა. პოლიცია ვერ ასრულებს თავის მოვალეობას. ეკონომიკა უკან მიდის, ხალხი უფრო ღარიბდება, სასამართლო სისტემა მთლიანად „გაბანძებულია“.

***— სასამართლოზე „ოცნებაშიც“ ხმაურობენ.***

— ეს ხმაური ჰგავს ჩასაძირად გამზადებულ გემზე ვირთხების ფაციფუცს. „ოცნებაში“ არ აწუხებთ ის, რაც სასამართლო სისტემაში ხდება. ივანიშვილმა ბოლო საპრეზიდენტო არჩევნებზე ყველა უკანონობა და უსინდისობა გამოიყენა, ასევე უზარმაზარი თანხები დახარჯა. რისთვის? ღირდა კი პრეზიდენტის ინსტიტუტი ამად! ძალით შემოგვაჩეჩეს პრეზიდენტი, რომელიც რუსეთის წისქვილზე ასხამს წყალს!

***— რა იქნება მაშინ, თუ „ქართული ოცნება“ არ შეცვლის საარჩევნო გარემოს, ვადამდელ არჩევნებს კი დათანხმდება?***

— „ქართული ოცნება“ დასამარდება. თუ არჩევნების გაყალბებას მოინდომებს, მაშინ საერთოდ წაილეკება. ისედაც თავი არ გამოეყოფათ „ოცნების“ წევრებს. ძირითადად ჩაკეტილები სხედან „კუტოკებად“ და ერთმანეთს ღრღნიან.

თავის წინააღმდეგ ხალხიც აიმხედრეს და საერთაშორისო საზოგადოებაც. ამიტომ, მოუწევთ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება და არჩევნების ნორმალურად ჩატარება.

# სალომე სამადაშვილი: „საქართველო უვიზო მიმოსვლის დაკარგვის რეალური საფრთხის წინაშე დგას“

## „რუსეთის ინტერესშია, რომ საქართველოსთვის შემდეგი კარი ევროპისკენ კი არ გახსნას, არამედ, რაც უკვე გაიხსნა, ისიც დაიკეტოს“

ლელა მდივანი



საქართველოში საფრანგეთის ელჩმა პასკალ მენიემ გერმანია-საფრანგეთის დღეების ფარგლებში, კავკასიის ფრანგულ სკოლაში ვიზიტისას, მედიასთან ქართველების არალეგალურ მიგრაციაზე ისაუბრა და განმარტა, რომ ქართველებს, რომლებიც პოლიტიკურ თავშესაფარს ითხოვენ, რეალურად მოტივაცია არ აქვთ.

— მათი მოტივაცია ეკონომიკურია და ამიტომ ლტოლვილის სტატუსს არ იმსახურებენ. ეკონომიკური მიგრაცია არალეგალურია. ასეთ ხალხს ჩვენ უკან ვაბრუნებთ თვითმფრინავით. არ გვინდა, რომ ასეთი პრაქტიკა გაგრძელდეს, — განაცხადა საფრანგეთის ელჩმა.

დადგება თუ არა ევროპაში უვიზო მიმოსვლის შესაძლებლობის დაკარგვის საფრთხე, რა ბერკეტები გააჩნია მთავრობას უმუშევრობის პრობლემის აღმოსაფხვრელად, რაც სწორედ არალეგალური მიგრაციის წინაპირობაა და რა გამოსავალი არსებობს ამ პრობლემების მოსაგვარებლად — ამაზე „ახალ თაობასთან“ ნაცმოძრაობის წევრი **სალომე სამადაშვილი** საუბრობს.

***— საფრანგეთის ელჩი აცხადებს, რომ მიგრაციის პრობლემასთან ბრძოლისთვის, საქართველოს მთავრობასთან დამატებით ზომებს განიხილავს. რა ზომების შემუშავება შეგვიძლია?***

— სამწუხაროდ, როდესაც ქვეყანაში სამუშაო ადგილები არ იქმნება, ეკონომიკური ვითარება მძიმდება ჩვენი მოსახლეობისთვის, იმიტომ, რომ ცხოვრება საქართველოში არის ბევრად უფრო ძვირი, ვიდრე ცენტრალურ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყანაში, შემოსავლის დონე კი არ იზრდება, ეცემა. ჩვენი თანამოქალაქეები უფრო მეტი რაოდენობით ცდილობენ, რომ საკუთარი თავის და ოჯახების გადასარჩენად, მიაშურონ საზღვარგარეთის ქვეყნებს და ამ პრობლემას, სამწუხაროდ, გაფრთხილება და მსგავსი ღონისძიებები ვერ აღმოფხვრის, რადგან ქვეყანაში ეკონომიკური განვითარების პერსპექტივა არ არის.

რაც უფრო დიდხანს გაგრძელდება იმ სრულიად არაკომპეტენტური, კორუმპირებული მთავრობის მმართველობა, რომელიც ჰყავს ჩვენს სახელმწიფოს, ეს პრობლემები სულ უფრო გაღრმავდება და არ არის პროგნოზი არანაირი დამაიმედებელი იმისა, რომ ასეთი პრობლემები აღმოიფხვრება.

***— საფრანგეთის ელჩმაც ზუსტად ეს თქვა, რომ ქართველების არალეგალური მიგრაცია სწორედ ეკონომიკურ პრობლემებს უკავშირდება. რა ბერკეტებით არის შესაძლებელი, რომ ეს პრობლემა მოგვარდეს?***

— საქართველოს დღევანდელ მმართველ გუნდს, რომელიც ივანიშვილის პირადი ინტერესების მომსახურებით არის ქვეყანაში დაკავებული, ამოწურული აქვს ყველანაირი შესაძლებლობა, რომ რაიმე შესთავაზოს ჩვენს მოქალაქეებს და ამიტომ არ მგონია, რაიმე ცვლილების განხორციელება შეძლოს. საფრთხე იმის, რომ ეს ასე გაგრძელდება და ჩვენ დავკარგავთ საბოლოოდ უვიზო მიმოსვლის შესაძლებლობას, რეალურია.

***— დღეს არსებული ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე, არ შეიძლება დასაქმების პრობლემა ნაწილობრივ მაინც მოგვარდეს?***

— სახელმწიფოს ამის რესურსი არ აქვს, იმიტომ, რომ ის პრობლემები, რაც დღეს არსებობს, ხომ არ არის დღეს შექმნილი პრობლემები?! ქვეყანა ვითარდება სრულიად არასწორი ეკონომიკური პოლიტიკით 6 წელიწადია და სახელმწიფოს მართვას აქვს ასეთი თვისება, რომ შედეგი რაღაც პოლიტიკის განხორციელების შემდეგ, გარკვეულ პერიოდში დგება.

თუ სწორი რეფორმები გაატარეს, შედეგი დადგება. თუ არასწორად მიდის ქვეყანა, ამის შედეგიც დგება და დღეს დამდგარია ეს შედეგი, რომელიც 6 წლის მანძილზე გაკეთდა. რაც დათესა „ქართულმა ოცნებამ“, იმის შედეგები დადგა და სულ უფრო უკან წავა საქართველოს ხელისუფლება და ამას უნდა აცნობიერებდეს საქართველოს მოსახლეობა.

ერთადერთი გამოსავალი არის ხელისუფლების შეცვლა. სხვა გამოსავალი ქვეყნის ჩიხიდან გამოსასვლელად არ არსებობს.

***— რამდენი პროცენტი არსებობს საფრთხე იმისა, რომ თუკი მიგრაციის პრობლემას არ შევცვლით, უვიზო მიმოსვლის შესაძლებლობას დავკარგავთ?***

— საფრთხე არის ძალიან რეალური, რადგან ევროკავშირში განწყობა არის საკმაოდ ნეგატიური საზღვრების გახსნის მიმართ და თუ შევაწუხებთ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს ამ პრობლემით, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური კეთილგანწყობა ქართველი ხალხის მიმართ არის ძალიან მაღალი, ასეთი საფრთხე, რა თქმა უნდა, არსებობს და ეს შედის სწორედ რუსეთის ინტერესებში.




სწორედ მის ინტერესშია, რომ ამ ქვეყნის შემდეგი კარი ევროპისკენ კი არ გახსნას, არამედ, რაც გაიხსნა უკვე, ისიც დაიკეტოს და ეს არის სწორედ ის, რომ „ქართული ოცნება“, რომელიც გველაპარაკება დასავლეთზე, ევროინტეგრაციასა და ა.შ., საკუთარი რეალური პოლიტიკით ართმევს ჩვენს მოქალაქეებს როგორც საკუთარ ქვეყანაში ღირსეული ცხოვრების შესაძლებლობას, ასევე რეალურად ჩიხში შეჰყავს ჩვენი ევროპული მომავალი.

ამის ერთადერთი გამოსავალი კი ხელისუფლების შეცვლაა.

# ეკა გიგაური: „მურუსიძეს ერთხელ შევხვდი და ისე შეშინებული იყო, სასამართლოდან წასვლა უნდოდა“

## „დიახ, მე კაპიტანი ვარ და ამაში სათაკილო არაფერია“

იაგო ნაცვლიშვილი




სააპელაციო სასამართლოში უვადოდ გამწესებულ მოსამართლეს ლევან მურუსიძეს 22 იანვარს დებატები ჰქონდა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელ გიორგი მშვენიერაძესთან. დებატის დროს მოსამართლემ, რომლის მიმართაც არაერთი კითხვის ნიშანია და რომელსაც სასამართლო სისტემის კლანის ერთ-ერთ მეთაურად მოიხსენიებენ, რამდენიმე პასაჟი გააჟღერა.

აღნიშნული საკითხების შესახებ „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორი ეკა გიგაური საუბრობს.

**ეკა გიგაური:**

– ჩემი შთაბეჭდილება ის არის, რომ მიუხედავად იმისა, რომ სტრასბურის სასამართლომ მის მიერ გამოტანილ 5 განაჩენთან დაკავშირებით დაადგინა დარღვევები, თავს არ თვლის ვალდებულად, რომ პასუხისმგებლობა უნდა აიღოს ამ ყველაფერზე.

ეს წარმოუდგენელი რამეა. ფაქტობრივად ამბობს, რომ იმ უსამართლობას, რომელსაც ის ჩადიოდა თავისი გადაწყვეტილებებით, პრობლემად არ თვლის და მიიჩნევს, რომ სჯობს ის იყოს თანამდებობაზე და არა რომელიმე ისეთი მოსამართლე, რომელსაც ასეთი გადაწყვეტილებები არ მიუღია.

ის განცხადება, რომ მისი გაშვებით გამოჩნდება, რომ რეფორმატორებსა და იმ ადამიანებს უშვებენ სამსახურებიდან, ვინც სასამართლოს განვითარებაზე ზრუნავენ, აბსოლუტურად წარმოუდგენელი განცხადებაა.

მის ადგილზე ამ დებატების შემდეგ ნებისმიერი თავმოყვარე ადამიანი, უბრალოდ, თანამდებობიდან წავიდოდა. ამდენი ხნის განმავლობაში საუბრობდა, რომ მისი ამ გადაწყვეტილების შემდეგ არავითარი სამართლებრივი არგუმენტები არ არსებობს.

ჩვენი კოლეგის, გიორგი მშვენიერაძის მხრიდან ბევრი არგუმენტი იყო მოყვანილი. თავდაპირველად „იმედიდან“ იყო შემოთავაზება, რომ არასამთავრობოს 3 წარმომადგენელი მისულიყო, მაგრამ დავინდეთ ეს ადამიანი. 3 ადამიანის მისვლა საჭიროც არ იყო, იმდენად ბევრ ტყუილს ამბობს და იმდენად არაკვალიფიციურად საუბრობს თავისავე გადაწყვეტილებაზე. იმაზე აღარ არის საჭირო საუბარი, რომ მან სტრასბურის 2 გადაწყვეტილების გაცნობა საჭიროდაც კი არ ჩათვალა, საუბარი მის გადაწყვეტილებებზეა, რომლებიც სტრასბურის სასამართლოს მიერ გაკრიტიკებული იყო.

ის, რომ ასეთი მოსამართლეები წამყვან პოზიციაზე არიან, მიუთითებს იმაზე, რომ ჩვენ ძალიან დიდი პრობლემა გვაქვს სასამართლო სისტემაში და სანამ ეს ადამიანები არიან სისტემაში, ღირსეულ მოსამართლეებს არ ექნებათ შესაძლებლობა, რომ ღირსეულად ემსახურონ მართლმსაჯულებას.

***– მურუსიძემ თქვა, რომ იუსტიციის საბჭოს მდივნად მნიშნავდნენ და არავის გახსენებია გირგვლიანის საქმეო. გიგაურმა მემორანდუმიც კი გააფორმა ჩვენთან და იძახდა, რომ მოსამართლეები უვადოდ უნდა გამწესებულიყვნენ სასამართლოშიო. ამაზე რა პასუხი გაქვთ?***

– ეს არის ტყუილი. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ძალიან ბევრი ანგარიში არსებობს „ნაცმოძრაობის“ დროს სასამართლოს მდგომარეობასთან დაკავშირებით და ეს შეგიძლიათ ჩვენს ვებ-გვერდზე ნახოთ. არა მხოლოდ გირგვლიანის საქმეზე, რაზეც ჩემი განცხადებებიც არსებობს, არამედ ზოგადად სასამართლო სისტემაში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით.

მაშინ ჩვენ საიას-თან ერთად მონიტორინგს ვაკეთებდით. საია სისხლის სამართლის საქმეებს აკვირდებოდა, ჩვენ – ადმინისტრაციულს. გვაქვს ძალიან მწვავე ანგარიშები. ჩვენ გამოვაქვეყნეთ რეკომენდაციები თუ რა უნდა გაკეთებულიყო სასამართლო სისტემაში. პირველი ტალღა ამ რეკომენდაციებს დაეყრდნო. პირველი ტალღის ფარგლებში ეს რეკომენდაციები გაითვალისწინეს.

2013 წელს ჩვენ გავაფორმეთ მემორანდუმი საქართველოს სასამართლოსთან. მაშინ საბჭოს მდივანი იყო მურუსიძე. წარმოადგენდა სასამართლოს და მისი, როგორც იურისტის კვალიფიკაციაში, ამ განცხადების შემდეგაც ეჭვი მეპარება. იმიტომ, რომ ეკა გიგაურმა და მურუსიძემ კი არ დადეს მემორანდუმი, „საერთაშორისო გამჭვირვალობამ“ და საქართველოს სასამართლოებმა დადეს მემორანდუმი. მემორანდუმის მიზანი იყო, რომ „გამჭვირვალობას“ მოსამართლეების ტრეინინგი განეხორციელებინა. ჩვენ რიგითი და ძალიან ღირსეული მოსამართლეების ტრეინინგი განვახორციელეთ.

ასევე ჩვენ უნდა გაგვეკეთებინა ელექტრონული ბიბლიოთეკა სააპელაციო სასამართლოსთვის და ჩვენ ეს გავაკეთეთ. ასევე საძიებო სისტემა გადაწყვეტილებების თაობაზე უზენაესი სასამართლოსთვის და ესეც გავაკეთეთ. ანუ ჩვენთვის მთავარი სასამართლოს გაძლიერებაა. ჩვენ ამას ვაკეთებდით და ახლაც, ბოლო პერიოდში 40-მდე მოსამართლე დავატრენინგეთ კონკურენციის კანონმდებლობაში.

როდესაც მემორანდუმს მოვაწერეთ ხელი, მაშინ მურუსიძესთან სულ 10 წუთიანი შეხვედრა მქონდა. მაშინ ძალიან შეშინებული შემხვდა. ეს ძალიან უცნაური იყო. ამბობდა, რომ როგორც კი ვადა გაუვიდოდა სასამართლოში, მაშინვე აპირებდა წასვლას. იმიტომ, რომ ამ სისტემაში მუშაობა არ უნდოდა.

***– კაპიტან გიგაურს რომ გეძახიან, რა გრძნობა გაქვთ? ეს მურუსიძემაც გაიმეორა.***

– რასაც ჩემთვის წოდების მინიჭებასთან დაკავშირებით ლაპარაკობს, ეს არის სამთავრობო პიარი. გასაგებია, რომ ბიძინა ივანიშვილით დაწყებული და რიგითი დეპუტატებით დამთავრებული ყველა ამ მესიჯზე ლაპარაკობს, რომ მე ეს წოდება მაქვს.

დიახ, მე მაქვს ეს წოდება. მე ვმუშაობდი 4 წელი შესაბამის უწყებაში. ეს წოდება მაქვს იმიტომ, რომ ანტიკორუფციული რეფორმები ჩავატარე. დღეს საზღვარს როცა კვეთს, მათ შორის ბატონი მურუსიძე, ქრთამის გადახდა არ უხდება. ეს ნამდვილად ჩემი დამსახურებაა. მან რისთვის მიიღო უვადო მოსამართლეობა და რატომ დარჩა სასამართლო სისტემაში, ეს არის საკითხავი. როგორც ბატონმა მშვენიერაძემ თქვა, იმ დროს ბატონი მეთოფიშვილიც იგივე სამსახურში მუშაობდა, სადაც მე. მას ჩემზე მაღალი წოდება ჰქონდა. ეს სალაპარაკო თემა არ არის.

ეს არის ის მესიჯ-ბოქსი, რომელსაც მთავრობა იყენებს და უნდა, რომ მე შეურაცხყოფა მომაყენოს. მგონია, რომ ამით ბევრ ღირსეულ ადამიანს აყენებენ შეურაცხყოფას, რომლებიც სამხედრო და პოლიციურ სტრუქტურებში მუშაობენ და წოდებები აქვთ. სათაკილო აქ არაფერია. მთავარია, ღირსეულად ვაკეთოთ ჩვენი საქმე.

***– მან ისიც თქვა, სასამართლოს სადავეები გამოვაცალე ნაცმოძრაობას, მაგრამ „ოცნებისთვის“ არ ჩამიბარებიაო. ამაზე როგორია თქვენი შეფასება?***

– ეს ხომ სასაცილოა. შემდეგ მას ჟურნალისტმა ჰკითხა, თქვენზე ზეწოლას ვინ ახდენდაო და არავინო. წარმოიდგინეთ, ვის გამოაცალა სადავეები და ვის არ გადასცა?! თუკი მასზე არავინ ახდენდა ზეწოლას, სადავეების გამოცლა არ ყოფილა საჭირო, ხომ?!

ეს ადამიანი თავიდან ბოლომდე იტყუებოდა. მას ჰგონია, რომ სასამართლო სისტემაში ყველაზე ღირსეული მოსამართლეა და მასზე უნდა მოხდეს სწორება მოსამართლეების მხრიდან. ეს არის იმის შედეგი, რომ მას დიდი მხარდაჭერა აქვს „ოცნებაში“.

როგორც გითხარით, ერთხელ შევხვდი და ისე შეშინებული იყო, რომ ხმას ვერ იღებდა და სასამართლოდან წასვლა უნდოდა. ის ასეთი ტონით ლაპარაკს ვერ შეძლებდა, ბიძინა ივანიშვილს სისტემის მსხვერპლად რომ არ დაესახელებინა.

***– ამით გაძლიერდა?***

– რა თქმა უნდა. ის კლანიც ზუსტად ამით ძლიერდება. მათ შორის იმ ცვლილებებით, რაც შეიტანა „ოცნებამ“ კანონმდებლობაში. ეს ცვლილებებიც ნაკარნახევი იყო ამ კლანით. ისინი ასრულებდნენ კლანის დავალებას, იცოდნენ, რომ ამ კლანს გააძლიერებდნენ და შემდეგ სასამართლოს მართვას მოახერხებდნენ ამ კლანის მეშვეობით. ეს არის მთავარი.

სასაცილოა, რომ ადამიანი, რომლის გადაწყვეტილებებიც უკავშირდება გირგვლიანს, მოლაშვილს, რომელმაც უდანაშაულო ადამიანი 11 წლით ციხეში გაუშვა და რომლის გადაწყვეტილებაც იმასთან დაკავშირებით, რომ ნაწამები ადამიანისთვის ექსპერტიზა ჩაეტარებინა, რაზეც სტრასბურმაც კი გააკრიტიკა, ამბობს, რომ არ ემსახურებოდა უსამართლობას და ღირსეული მოსამართლე იყო. ეს არის წარმოუდგენელი რამე. როდესაც ვუსმენდი, არ მჯეროდა, რომ ადამიანს ამის ლაპარაკი შეუძლია.

***– მურუსიძე შეეხო „ოცნების“ ოპონენტებს. უსუფაშვილზე თქვა, რომ სასამართლოზე გავლენის მოპოვება უნდოდა, მარგველაშვილზე თქვა, რომ ერთ-ერთი კრიტერიუმი მოსამართლის წარდგენისას საიასთან დაახლოება უნდა ყოფილიყო. ნაცმოძრაობა და არასამთავრობოები პრაქტიკულად ერთმანეთთან გააიგივა. ეს მისი პოზიციაა თუ „ოცნების“ პოზიციას ახმოვანებს?***

– როცა მის ინტერვიუს ვუყურებდი, ჩემ წინ იჯდა არა მოსამართლე, არამედ „ქართული ოცნების“ აქტივისტი. ყველა ის მესიჯ-ბოქსი და გზავნილი, რომელზეც სხვადასხვა დროს „ოცნების“ წარმომადგენლები საუბრობდნენ, ეს ყველაფერი მან გააჟღერა.

შთაბეჭდილება დამრჩა, რომ მათ ამ გზავნილებს ერთი და იგივე პიარ-კონსულტანტი უწერთ. იგივე პიარ-კონსულტანტი ჰყავს, რაც „ქართულ ოცნებას“. ეს ადამიანი არ არის მოსამართლე. თუ „ოცნებას“ ის ძალიან მოსწონს, წავიდეს სასამართლოდან და სიაში ჩაწერონ. აგერ 2 წელიწადში საპარლამენტო არჩევნები მოდის, ჩაწერონ სიაში და თავისი რიგებიდან პარლამენტში აირჩიონ. ან რომელიმე მაღალ თანამდებობაზე დანიშნონ. მაგალითად, იუსტიციის მინისტრის მოადგილედ.

ის არ იყო მოსამართლე, ის იყო პოლიტიკოსი, მას ჰქონდა პოლიტიკური გზავნილები. მათ შორის, როცა კონკრეტული ადამიანების დისკრედიტაციას აკეთებდა. აბსოლუტურად იგივე გზავნილები ჰქონდა, რაც „ქართულ ოცნებას“. მან არ შეიძლება კარგი მაგალითი მისცეს ჩვენს სასამართლო სისტემაში მოქმედ მოსამართლეებს.

საინტერესო რამე თქვა მან, რიგგარეშე მოსამართლეების კონფერენციაზე კვირის ბოლოს ნახავთ, როგორი მხარდაჭერა

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# ნუკრი ქანთარია: „იუსტიციის საბჭოს ნაჯახით ვერ შევუვარდებით და თავებს ვერ დავაყრევინებთ!“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ წევრი, საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატი **ნუკრი ქანთარია** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში 24 იანვარს პარტია „ქართული ოცნების“ ბიძინა ივანიშვილთან დაგეგმილ შეხვედრაზე საუბრობს.

***– ბატონო ნუკრი, 24 იანვარს „ქართული ოცნების“ გაფართოებული შეხვედრა იქნება, რომელსაც ბიძინა ივანიშვილიც დაესწრება. ვიზიტით მყოფი ბესელია ამ შეხვედრისთვის ვიზიტს წყვეტს. თქვენ რას ელოდებით ამ შეხვედრიდან?***

– ეს არის პარტიის ჩვეულებრივი, რიგითი შეხვედრა. ცხადია, შეხვედრას ბიძინა ივანიშვილიც დაესწრება, ზოგი საკითხი ძალიან პრობლემურია.

შეხვედრაზე რა მოხდება, როგორი იქნება ეს შეხვედრა, როგორი იქნება დრამატურგია, ამას შეხვედრის დასრულების შემდეგ გეტყვით. ვნახოთ, საკმაოდ ბევრი თემა არის განსახილველი.

***– გადაწყვეტილების მიღებას ელოდებით?***

– არა მგონია, გადაწყვეტილების მიღებას ნაკლებად ველოდები. არც სადამსჯელო ღონისძიებების გატარებას ველოდები.

***– ეს შეხვედრა განკითხვის დღედ მონათლა, ამბოხებული დეპუტატებისთვის ეს არ იქნება მარტივი შეხვედრა.***

– არ ვიცი, ეს უკვე თქვენ, ჟურნალისტებმა განსაჯეთ, განკითხვის დღე იქნება თუ პირიქით, შეთანხმების. ამას გვაჩვენებს შეხვედრა. ამის მეტს ვერაფერს გეტყვით.

***– მოსამართლეების საკითხი ალბათ იქნება განხილული. პარლამენტში წარმოდგენილმა ათივე კანდიდატმა უარი თქვა განხილვაზე. როგორ შეიძლება მოვლენები განვითარდეს?***

– ამას ვერ გეტყვით, მაგრამ კონსტიტუციური უფლება აქვს იუსტიციის საბჭოს, რომ სია გამოაგზავნოს პარლამენტში. ახლა საუბარია კრიტერიუმების შემუშავებაზე. მათ საფუძველზე უნდა შეიქმნას სია, შეირჩნენ კანდიდატები და გამოაგზავნონ პარლამენტში.

მერე პარლამენტის საქმეა განხილვები, ფართო მსჯელობის მოწყობა, ხალხმა რომ დაინახოს, ვინ ვინ არის, როგორ არის და ა.შ. შემდეგ პარლამენტი სიას კი არ უყრის კენჭს, არამედ სახელობითი კენჭისყრა იქნება და თითოეული ადამიანი ცალკე წარდგება პარლამენტის, საზოგადოების წინაშე და პარლამენტი მიიღებს გადაწყვეტილებას.

არც ის მინდა, რომ ახლა ნაჯახით შევვარდეთ იუსტიციის საბჭოში.

***– იუსტიციის საბჭოს ამ შემადგენლობის დაშლას არ ემხრობით?***

– არა, მე მიმაჩნია, რომ ამ ეტაპისთვის შეიძლება ავწონ-დავწონოთ ყველაფერი და ისე მივიღოთ გადაწყვეტილება. დაშლაზე ადვილი რა არის, ერთ დღეში შეიძლება დაიშალოს, მაგრამ შემდეგ რას მივიღებთ, თანმიმდევრობა თუ არ იქნება დაცული, ძალიან სახიფათო და ფაქიზი თემებია და არ ვიცი, როგორ შეიძლება



მოვლენები განვითარდეს.

ასე ადვილი არ არის, ახლა წადით სახლებში, დაიშალეთ! ეს არ მგონია, სერიოზული იყოს. ზიანი არ უნდა მივაყენოთ, პირიქით, ისე უნდა გავაკეთოთ, რომ არაფერი დავაზიანოთ.

***– ახალ სახელებს ელოდებით თუ შეიძლება მაინც ეს ადამიანები გავიდნენ?***

– ვერ გეტყვით. აბა, იგივე სია იქნება?! შეიძლება ვიღაც იყოს ამ სიიდან, მაგრამ პარლამენტში ჩავარდეს და ვერ გავიდეს. ვნახოთ. როგორ განვითარდება მოვლენები, არ ვიცი.

ისე, 2013 წელს ის ადამიანები, ვინც მოგვიწოდებდა, რომ ხელი არ გვეხლო ამ მოსამართლეებისთვის, ახლა პირიქით გვეუბნებიან, თავები მოაჭერითო. ეს რას ნიშნავს, ვერ გავიგე. ეს პოზიციების ცვლილება მე ძალიან მაფიქრებს. თუ მაშინ დემოკრატიის გადახვევა იქნებოდა ამ ხალხის სახლში გაშვება, ახლა რა იქნება?!

***– საუბარია ამ ადამიანების უვადოდ დანიშვნაზე ბოლო ინსტანციაში, რომელთა პროფესიული ბიოგრაფია საზოგადოებაში სერიოზულ უნდობლობას იწვევს.***

– გასაგებია, მაგრამ ამ არასამთავრობო ორგანიზაციების პოზიციების ცვლილება ჩემში კითხვებს იწვევს. ისინი პირდაპირ მოგვიწოდებენ, აიღეთ ცულები და მათი თავები დაყარეთო! თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მოსამართლეს, სანდოობის თვალსაზრისით, არ უნდა ჰქონდეს ყველაზე დიდი რეპუტაცია საზოგადოებაში.

***– შეხვედრაზე კიდევ რა საკითხები შეიძლება იყოს განხილული?***

– მიმდინარე საკითხები საგაზაფხულო სესიასთან დაკავშირებით. პარლამენტი თბილისში გადმოდის და მთელი რიგი ტექნიკური პროცედურები არის გასავლელი.

***– ახალი კანონპროექტები შეიძლება იყოს განხილული ან წარმოდგენილი?***

– არა, არა, ახლა იქ კანონპროექტის განხილვა ვერ მოხდება. შეიძლება იდეები წამოვიდეს, მაგრამ განხილვას არ ველოდები.

# ვახტანგ მაისაია: „სააკაშვილი უკრაინაში არასერიოზულ და კომიკურ ფიგურად აღიქმება“

გულიკო ბალაძე

ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში **ვახტანგ მაისაია** „ახალი თაობის“ კითხვებს პასუხობს.

***– ბატონო ვახტანგ, ამ დღეებში ქერჩში ორი გემი დაიწვა და სანამ გაირკვეოდა, რა ხდებოდა, ვიფიქრე, რომ რუსეთს-უკრაინის კონფლიქტი განახლდა. რამდენად არის მოსალოდნელი რუსეთ-უკრაინის დაპირისპირების განახლება ქერჩში?***

– ის გემები რუსეთისა და უკრაინის არ იყო. თუმცა, უკრაინელებს ჰქონდათ განაცხადი, რომ აზოვის ზღვაში შევიდოდნენ. სავსებით შესაძლებელია ქერჩში რუსეთ-უკრაინის დაპირისპირება.

***– ეს შეიძლება იყოს გეოპოლიტიკური მიზეზებიდან გამომდინარე თუ საეკლესიო დაპირისპირების გამოც?***

– ყველაფერი რუსეთ-უკრაინის დაძაბული ურთიერთობებიდან გამომდინარეა. დაპირისპირება სავსებით შესაძლებელია.

***– ყოველ შემთხვევაში, ლუგანსკსა და დონეცკში ომი გაჩერებულია, ტერიტორია კი ისევ რუსების კონტროლქვეშაა.***

– ასევე მოახლოებულია უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნები. ამ არჩევნებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს უკრაინის მომავლისთვის, მათ შორის, რუსეთთან ურთიერთობის თვალსაზრისით. რუსეთს სურს, უკრაინაში რალაცნაირად სიტუაცია გახადოს არასტაბილური და მისთვის მისაღები ხელისუფლება მოიყვანოს.

***– ითქვა, რომ უკრაინის ეკლესიის დამოუკიდებლობა პოროშენკოს ავანტიურა იყო.***

– მე პირიქით ვფიქრობ, უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიის მოპოვება დადებითი მომენტია. უკრაინელ ხალხს ვულოცავ გამარჯვებას. უკრაინელი ხალხი ღირსია ჰქონდეს ავტოკეფალური ეკლესია. ეს უკრაინაში მართლმადიდებლობის გავრცელებას ხელს შეუწყობს. მე უკრაინის ბლოგერი ვარ. იქ ხშირად ჩავდივარ და, ბუნებრივია, იქ არსებული სიტუაცია კარგად ვიცი. უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალია უკრაინელი ხალხისთვის დიდი და აუცილებელი მონაპოვარია.

***– ავანტიურა იყო არჩევნებისთვის, რადგან პოროშენკოს ძალიან დაბალი რეიტინგი აქვსო. პოროშენკოს რამდენი პროცენტი უჭერს მხარს?***

– პირველ ადგილზეა იულია ტიმოშენკო, მეორეზე – ვლადიმერ ზელინსკი – შოუმენი, მესამე ადგილზეა პოროშენკო. შემდეგ მოდიან იური ბოიკო და ანატოლი კრიცენკო.

***– იულია ტიმოშენკოს ამხელა რეიტინგი აქვს?***

– თქვენ წარმოიდგინეთ, დიდი რეიტინგი აქვს.

***– რით შეძლო რეიტინგის აწევა?***

– მაიდნის მოვლენების შემდეგ, სიტუაციას გაეცალა და თავი გადაირჩინა. ის რთული პროცესები, რაც შემდეგ პოროშენკოს პრეზიდენტობის პერიოდში მოხდა – კურსის აწევა, სეპარატისტული რეგიონების შექმნა, ყირიმის დაკარგვა, მას არ შეხებია. ყველა იმ მოვლენას, რაც უკრაინას თან სდევს, ტიმოშენკო გაეცალა. ახლა კი არენაზე გამოვიდა ის ძალა, რომელიც თითქოს არ იყო ამ პროცესებში ჩართული.

ტიმოშენკო ამ პროცესების დროს, თითქოს განზე გადგა, უყურა გვერდიდან, შესაბამისად, ახლა მას აქვს საშუალება, ჩაერთოს საპრეზიდენტო არჩევნებში და აჩვენოს თავისი ძალა. ეს ფაქტორი მუშაობს. აი, პოროშენკოს პრეზიდენტობის დროს მოხდა ეკონომიკური და პოლიტიკური კატაკლიზმები. ტიმოშენკო არ იყო ჩართული და იქნებ გვიშველოსო.

***– ტიმოშენკო სააკაშვილის თანამებრძოლადაც ხომ გამოდიოდა?***

– ტიმოშენკო არავის თანამებრძოლი არ არის. მას სააკაშვილი ნაკლებად აინტერესებს.

***– ტიმოშენკო სააკაშვილს ხომ უჭერდა მხარს, პოროშენკოს წინააღმდეგ ბრძოლა რომ წამოიწყო?***

– ტიმოშენკო საკუთარი თავის ადამიანია. თავის დროზე ტიმოშენკო პუტინსაც უჭერდა მხარს. ის პუტინის პოლიტიკის გამტარებელი იყო უკრაინაში და ამის გამო ციხეშიც კი მოხვდა. „გაზპრომთან“ უკრაინის ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგო ხელშეკრულება გააფორმა. თუ მისთვის საჭირო იქნება, ტიმოშენკო პუტინსაც შეეკვრება და სხვა დანარჩენსაც.

***– სააკაშვილსაც ხომ არ შეეკვრება და ხომ არ დააბრუნებს უკრაინაში?***

– არა მგონია. სააკაშვილი უკრაინაში უკვე იმდენად არასერიოზულ და კომიკურ ფიგურად აღიქმება, რომ უკრაინაში მისი დაბრუნება გამორიცხულია. ტიმოშენკო სააკაშვილის გამო ნამდვილად არ გაისვრის თავს. სააკაშვილი არის გუშინდელი დღე. მას უკრაინაში სერიოზულად არავინ აღიქვამს. ის გახდა პოლიტიკური კლოუნი. ასე იცნობენ მას უკრაინაში. ამიტომ ტიმოშენკოსთვის სააკაშვილი არ არის საინტერესო.

***– ანუ, ჯერჯერობით, უკრაინის პრეზიდენტის პოსტზე ყველაზე მეტი შანსი ტომოშენკოს აქვს.***

– დიახ, ამ ეტაპზე ასეა.

***– უკრაინასა და მსოფლიოში ომის კერები გაღვივებულია, რომელიც ხან ხანძრად იქცევა, ხან – ქრება. თუმცა, ახლო აღმოსავლეთში მუდმივი ომის ცეცხლია გაჩაღებული. თქვენ როგორ აფასებთ ახლანდელ მდგომარეობას?***

– სირიაში ახლაც რთული მდგომარეობაა. შეიძლება თურქეთი შეიჭრას ქურთებით დასახლებულ რაიონებში, ბამბიკის რაიონში და მოახდინოს სიტუაციის სერიოზული გამწვავება. თურქეთი შეტევისთვის სერიოზულად ემზადება.

***– ამერიკამ საბოლოოდ ხელები დაიბანა და აღარ აპირებს ჩარევას?***

– დაახლოებით ასეა. მწიფდება ისრაელსა და ირანს შორის დაპირისპირება. მათი დაპირისპირება სერიოზულ მასშტაბებს ღებულობს.

***– ორივე მხარე – ირანიც და ისრაელიც დიდი პრეტენზიებით გამოირჩევა. დაპირისპირებაც შეიძლება ძალიან მასშტაბური იყოს?***

– რა თქმა უნდა. ირანსა და ისრაელს შორის დაპირისპირება 2019 წლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იქნება.

***– ისრაელს აქვს იმდენი შესაძლებლობა, რომ ირანს გაუმკლავდეს?***

– ამ ეტაპზე ისრაელსაც და ირანსაც თანაბარი ძალები აქვთ.

***– ისრაელს აქვს, ვთქვათ, დასავლეთის მხარდაჭერა – ამერიკის, შეიძლება ევროპისაც.***

– ევროპის მხარდაჭერა ისრაელს ნაკლებად ექნება.

***– ირანი ამგვარ დაპირისპირებას გაუძლებს?***

– ირანიც არ არის მარტო. ირანს აქვს თურქეთის, რუსეთისა და ჩინეთის მხარდაჭერა. ირანმა დაიწყო თავისი სამხედრო პოტენციალის მოდერნიზაცია და სამხედრო ძალების რეფორმიზაცია. ამდენად, ირანი არ არის ხელწამოსაკრავი აქტორი. ირანმა აჩვენა, რომ ის ახლოაღმოსავლეთში საკმაოდ სერიოზული ჰეგემონია. ირანს შეუძლია სერიოზულად აჭრას სიტუაცია იემენში. იემენში, სუდანსა და ღაზას სექტორში ირანის გავლენაა.

ჰესბოლა, ფაქტობრივად, მმართველი პოლიტიკური ძალაა ირანში. კენია ირანელებმა თავისი გავლენის ქვეშ მოაქციეს. ირანელებს ერაყზეც სერიოზული გავლენა აქვთ. ერაყიც ირანის გავლენის ქვეშ აღმოჩნდა ამერიკელების საწინააღმდეგოდ, მეტი რა გითხრათ? ირანმა ყატარი და საუდის არაბეთი ერთმანეთს დააპირისპირა.

***– ყველა ომს გარკვეული გავლენა აქვს მის სამეზობლოზე. ჩვენ ახლო აღმოსავლეთის რიგი ქვეყნების უშუალო მეზობელი არ ვართ, მაგრამ მოგეხსენებათ, სირიის დევნილებიც კი შემოვიდნენ საქართველოში.***

– დიახ, ჩვენ გვყავს სირიის დევნილები.

***– ამდენად, ასე თუ ისე, ახლო აღმოსავლეთის მოვლენები შეიძლება, ჩვენც შეგვეხოს. თანაც საქართველომ დევნილთა მიღებაზე პაქტს ხელი მოაწერა. როგორ შეიძლება იმოქმედოს ამან საქართველოს მდგომარეობაზე?***

– დიახ, ეს სიტუაცია შეიძლება ჩვენც შეგვეხოს, რადგან თუ ამერიკამ და ირანმა ერთმანეთს დასცხეს, საქართველო მოვლენების შუაგულში აღმოჩნდება. მეორე მხრივ, ირანის, თურქეთისა და რუსეთის ალიანსი უკვე ახდენს გავლენას კავკასიაში მიმდინარე პროცესებზე. ნებისმიერმა დაპირისპირებამ შეიძლება კავკასიაზე მოახდინოს გავლენა. ჩვენ ძალიან ცუდ სიტუაციაში ვიმყოფებით. შიდა პროცესებით იმდენად ვართ გართული, რომ ჩვენ ირგვლივ მიმდინარე პროცესებს ყურადღებას აღარ ვაქცევთ, ველარ ვახდენთ არსებულ გეოპოლიტიკურ სისტემაში ორიენტირებას. ჩვენ თავზე საკმაოდ საშიში ღრუბლები იკრიბება.

***– კავკასიის წინააღმდეგ რა ქმედებებია მოსალოდნელი?***

– ახლო აღმოსავლეთის მოვლენები კავკასიაშიც ჰპოვებს ასახვას.

***– რა თვალსაზრისით?***

– ყველა თვალსაზრისით. შეიძლება რეგიონში არა მხოლოდ ჯიჰადისტური მოძრაობები გაძლიერდეს, არამედ ნარკოტიკებისა და იარაღის უკანონო ბრუნვა, ლტოლვილების შემოსვლა, გეოპოლიტიკური აქტორების ჩარევა ჩვენს შიდა საქმეებში.

***– არსებულ გეოპოლიტიკურ დაპირისპირებებში თუ შეიძლება გვქონდეს ჩვენი სპეცსამსახურების იმედი?***

– რა გითხრათ? რაში უნდა გვქონდეს ჩვენი სპეცსამსახურების იმედი.

***– მგონი, კადრების მცირე ცვლილებები იყო.***

– კადრების ცვლილება დიდად არაფერს ცვლის. სისტემური ცვლილებებია საჭირო. სტრატეგიულად მოაზროვნე სპეციალისტები არ გვყავს. მხოლოდ კადრების ტაქტიკური გადაადგილებები საქმეს არ შველის. ცოტა ხნის წინ შეიქმნა ანტიტერორისტული ცენტრი. იქ პროფესიონალები გვყავს, მაგრამ უსაფრთხოების სამსახურში მოაზროვნე სპეციალისტები არ გვყავს.

***– სისტემურ ცვლილებებში რას გულისხმობთ? შს სამინისტრო და უშიშროების სამსახურები ერთი ქოლგის ქვეშ იყვნენ და გაიყვნენ.***

– მხოლოდ მექანიკური გაყოფა საქმეს არ შველის. ჩვენი სპეცსამსახურები თავისი არსებობის განმავლობაში ყოველთვის არაპროფესიონალიზმით გამოირჩეოდნენ. მათ ვერ გამოიჩინეს თავი ვერც აგვისტოს ომის დროს, ვერც კოდორის მოვლენების დროს, აგვისტოს ომის დროს ვერ გათვალეს საომარი მოქმედებების შესაძლებლობაც კი. გადასული იყვნენ შიდა პოლიტიკურ ტერორზე. საქართველოს სპეცსამსახურები ეჟოვის ნკვდ-ს დაემსგავსა. მერაბიშვილი იყო ქართველი ეჟოვი.

***– ანუ თავკომბალა შს სამინისტროს გაყოფამ რაიმე ეფექტი არ მოიტანა?***

– გაიყო სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოება. ეგ იყო და ეგ, მეტი არაფერი. ერთადერთი, ანტიტერორისტული მიმართულება გაძლიერდა და თვალსაჩინო გახდა.

***– თქვენ თქვით, ზოგადად 2019 წელი რთული წელი იქნებაო. საქართველოსთვის 2019 როგორი წელი იქნება?***

– 2019 წელი არის 2020 წლის არჩევნებისთვის მოსამზადებელი პერიოდი. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები გადამწყვეტია ქვეყნის პოლიტიკური განვითარებისთვის. ეს ჩანს კიდეც. ახალი წელი ძალიან ცხელი პოლიტიკური მოვლენებით დავიწყეთ. საერთაშორისო დონეზეც სიტუაცია რთულდება. ამერიკა-ისრაელს შორის დაპირისპირება, ირან-ისრაელის დაპირისპირება ტრამპის არაორდინარული გადაწყვეტილებები, კიდევ უფრო გაართულებს საერთაშორისო პოლიტიკურ ამინდს. ამას ემატება ისიც, რომ ჩვენთვის პოლიტიკურად რთული პერიოდი იქნება.

***– 2020 წელს ამერიკაშიც საპრეზიდენტო არჩევნები ტარდება.***

– დიახ, ამიტომ 2020 წელი იქნება ძალიან რთული პერიოდი საერთაშორისო პოლიტიკაში. აქეთ კიდევ ბრექსიტის პროცესია. ასე რომ, ძალიან რთული მოვლენების ამსახველი წელი იქნება.

***– არ ვიცი, ამერიკას რამდენად ეცლება ჩვენთვის. თან „ოცნებას“ ორი ვადა უკვე გასდის. ქართველი საზოგადოება მესამე ვადით ხელისუფლებაში ერთსა და იმავე პოლიტიკურ ჯგუფს რთულად იტანს. მესამე ძალაც არ ჩანს.***

– ცხადია. აბსოლუტურად გეთანხმებით. პოლიტიკური სისტემაც თავის ფორმას კარგავს. ახალი ძალაც არ ჩანს და გეოპოლიტიკური ფონიც ძალიან რთულია.



# „კურიერის“ ჟურნალისტმა ინტერპოლით ძებნილი ჯეკ შეპარდი ქართულ პოლიციაზე ადრე იპოვა

ბრიტანელი ჯეკ შეპარდი, რომელსაც 24 წლის შარლოტა ბრაუნის მკვლელობისთვის 6 წლიანი პატიმრობა დაუსწრებლად აქვს მისჯილი და ძებნაშია, მარტის შემდეგ საქართველოში იმყოფება.

როგორც ბიბისი წერს, არსებობს ჩანაწერები, რომ შეპარდი საქართველოს დედაქალაქშია და არანაირი საბუთი არ არსებობს, რომ მან ქვეყანა დატოვა.

ამ ფაქტთან დაკავშირებით წერს დეილი მეილიც, გამოცემის ინფორმაციით, შეპარდის მეუღლემ პოლიციას განუცხადა, რომ მისი ქმარი საქართველოში 10 თვის წინ გაიქცა. ასევე გაირკვა, რომ შეპარდი საქართველოს დედაქალაქში 2018 წლის 21 მარტს თურქიშ ეარლაინზის რეისით ჩამოფრინდა. მისი პასპორტი თბილისის აეროპორტში დილის 03:31 საათზე დაფიქსირდა.

მას შემდეგ საქართველოს სასაზღვრო პუნქტებზე ამ პასპორტის გამოყენება არ მომხდარა, რაც იძლევა იმის ფიქრის საფუძველს, რომ ის ისევ საქართველოში იმყოფება.



აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით „ნიუპოსტი“ შინაგან საქმეთა სამინისტროს დაუკავშირდა.

უწყების განცხადებით, ქართველ და ინგლისელ სამართალდამცველებს შორის მიმდინარეობს აქტიური თანამშრომლობა, რომ მოხდეს აღნიშნული პირის საქართველოში იდენტიფიცირება და შემდგომ შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებების გატარება.

* * *

„კურიერის“ ჟურნალისტმა ნინო ვარძელაშვილმა ჯეკ შეპარდი ქართველ სამართალდამცველებზე ადრე იპოვა.

შეპარდი სამართალდამცველებს საკუთარი ნებით, „რუსთავი 2“-ის კამერის წინ ჩაბარდა, თუმცა მანამდე „კურიერის“ ჟურნალისტს ინტერვიუ მისცა. მისი თქმით, ბრიტანული სკოტლანდ იარდი მას იმ დანაშაულში ედავება, რომელიც არ ჩაუდენია.

შემთხვევა 2015 წლის 8 დეკემბერს მოხდა. ჯერ შეპარდი მეგობარ გოგონასთან, 24 წლის შარლოტა ბრაუნთან ერთად, კატერით სეირნობდა. შარლოტა კატერის ამობრუნების დროს დაიღუპა. ჯეკი ყვება, რომ ბრიტანული სკოტლანდ იარდის მიერ გავრცელებული ვერსია, რომ ის კატერს ნასვამ მდგომარეობაში მართავდა, არასწორია და ის საჭესთან საერთოდ არ მჯდარა.

ჯეკ შეპარდი ყვება, რომ ბრიტანულ პოლიციას ის გოგონას მამის გავლენების გამო გაექცა, რომელიც ჩინოვნიკია და შეეძლო, სასჯელაღსრულების სისტემაზე გავლენა მოეხდინა.

შეპარდს 6 წლიანი პატიმრობა გასული წლის ივლისში მიუსაჯეს. ის ბოლოს, ლონდონის სასამართლოში, 26 იანვარს იმყოფებოდა, თუმცა წაყენებულ ბრალს არ დაეთანხმა, რის შემდეგაც ის სასამართლომ უპირობო თავდებით გაუშვა.

ჯეკ შეპარდი ამის შემდეგ პროცესზე აღარ გამოცხადებულა.

ქართულ სასამართლოში ბრიტანელი ბრალდებულის უფლებებს ქართველი ადვოკატები დაიცავენ.

მარიამ კუბლაშვილი და ტარიელ კაკაბაძე შეეცდებიან, გამოძიება დაარწმუნონ, რომ მომხდარი უბედური შემთხვევა იყო და მათი დაცვის ქვეშ მყოფს ტრაგედიაში ბრალი არ მიუძღვის.

# ხაბეიშვილი კალაძეს მიუვარდა

შორენა მარსაგიშვილი



დაახლოებით ერთი კვირის წინ თბილისის მერი სახალხოდ გადმოდგა და რამდენიმე ოპონენტს მოუწოდა გამოექანეთო. გაქანებით არ გაქანებულა, მაგრამ საკრებულოს ოპოზიციონერმა დეპუტატმა ლევან ხაბეიშვილმა დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე დასწრება მოისურვა.

აღსანიშნავია, რომ მერმა სხვებთან ერთად გამოქანებისკენ ლევან ხაბეიშვილსაც მოუწოდა.

ლევან ხაბეიშვილი მთავრობის სხდომაზე იმისთვის მივიდა, რომ რამდენიმე კითხვაზე მიეღო მერისგან პასუხი.

ოპოზიციონერმა დეპუტატმა მერიაში კახა კალაძის ის განკარგულებები მიიტანა, რომელიც სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის სააღმზრდელო დაწესებულებებში კვების რაციონს განსაზღვრავს და რომელიც, მისი თქმით, უხარისხოა.

ლევან ხაბეიშვილმა კახა კალაძეს ასევე პასუხი მოსთხოვა თბილისში არსებულ უკანონო თხრილებზე, რომელსაც, დეპუტატის თქმით, 13 წლის მოზარდის სიცოცხლე შეეწირა.

თბილისის მერს დეპუტატის დანახვა აშკარად არ ესიამოვნა და მისი დანახვისთანავე ერთი ამბავი ატეხა.

კახა კალაძემ ლევან ხაბეიშვილი შანტაჟსა და პროვოკაციაში დაადანაშაულა. დაცვასაც უხმო და მათგან აბეზარი დეპუტატის გაყვანა მოითხოვა. დაცვამ „მილანის“ ყოფილი მცველის მოთხოვნა მყისიერად შეასრულა.

ამან დეპუტატი უკიდეგანოდ აღაშფოთა. ხაბეიშვილმა ქალაქის თავს გამბედაობა დაუწუნა.

– დედაქალაქის მერი, რომელიც დაწერილს კითხულობს მხოლოდ და მხოლოდ და მათ შორის, უზრდელობებსაც მხოლოდ დაწერილს წაიკითხავს ხოლმე, ჩვენ საჯაროდ მოვთხოვეთ, აქვს თუ არა მას გამბედაობა, რომ 60 ათას ბავშვს რომ უხარისხოდ კვებავენ და ეს თავად დაწერეს და ეს ხაბეიშვილს არ მოუგონია, აი, ამაზე რა პასუხს აძლევს თბილისელებს, იმ ბავშვების მშობლებს, რომლებსაც უხარისხოდ კვებავს და ეს დაწერა თავად.

ვკითხე, რომ თუ აქვს გამბედაობა, ეპასუხა. ასევე მნიშვნელოვანია, 13 წლის მოზარდი, რომელიც დაიღუპა, 17 მეტრიანი უკანონო თხრილი რომ იყო გათხრილი და დედაქალაქის მერიამ თქვა, რომ თურმე ახლა დააჯარიმეს და 3000 ლარით რომ ბავშვს არაფერი არ ეშველება, მე მგონი ყველასთვის გასაგებია, ამაზე თუ ხედავს ვინმეს პასუხისმგებლობას. იმიტომ, რომ დედაქალაქის მერიის პასუხისმგებლობაა, რომ უკანონო მშენებლობები, უკანონო თხრილები არ იყოს დედაქალაქში. დაცვას მოუხმო ბატონმა კახიმ და გაგვაძევეს დედაქალაქის მერიის მთავრობის სხდომიდან, – აღნიშნა გაძევებულმა ხაბეიშვილმა.

ის პირობას დებს, რომ კახა კალაძის მხილებას მომავალშიც გააგრძელებს და მას მერის მცველები ვერ შეაჩერებენ.

# ვის დასჯის ივანიშვილი?

## „ქართული ოცნება“ განკითხვის მოლოდინშია

შორენა მარსაგიშვილი




დღეს, 24 იანვარს დიდი დღეა – ქვეყნის მთავარი მეოცნებე, ბიძინა ივანიშვილი თანაპარტიელებს განკითხვის დღეს მოუწყობს. საპარლამენტო უმრავლესობის წევრები მოსალოდნელი არმაგედონით აშკარად შეშინებულები არიან, მაგრამ საჯაროდ შფოთს არ იმჩნევენ.

ყველამ იცის, რომ საუბარი სასამართლო სისტემაზე იქნება. ივანიშვილი ალბათ შეეცდება იმის დამტკიცებას, რომ ლევან მურუსიძე ნაციონალების მსხვერპლია. ვინც ამას არ შეიგონებს, ალბათ დაისჯება.

„ოცნების“ კულუარებში არ გამორიცხავენ, რომ ამ შეხვედრის შემდეგ პარტიაში ვითარება კიდევ უფრო გამწვავდება.

მმართველ პარტიაში უკვე გამოიკვეთა ის ხალხი, ვისაც ირაკლი კობახიძის დიქტატის დამორჩილება არ სურს.

განკითხვის დღემდე ერთი დღით ადრე ანუ გუშინ, 23 იანვარს მეამბოხე დეპუტატებმა გია ჟორჟოლიანის კაბინეტში შეხვედრა გამართეს. ჟორჟოლიანი „ქართული ოცნება – სოციალდემოკრატების“ თავმჯდომარეა.

ნახევრად საიდუმლო სერობას ბექა ნაცვლიშვილი, გედევან ფოფხაძე, ლევან გოგიჩაიშვილი, ზაზა პაპუაშვილი, მირიან წიკლაური და რუსლან პოღოსიანი ესწრებოდნენ.

შეხვედრის ერთ-ერთმა მონაწილე ბექა ნაცვლიშვილმა საუბრის ყველა დეტალი არ გაამხილა.

– საუბარი იყო არგუმენტებზე, რომელიც ჩვენ გვაქვს და შევაჯერეთ პოზიციები, – საპარლამენტო უმრავლესობის სხდომაზე თუ აზრთა სხვადასხვაობა წარმოიშობა, ჩვენ გავუზიარებთ ჩვენს არგუმენტებს კოლეგებს და შევეცდებით დავარწმუნოთ ამ არგუმენტების სისწორეში, – განაცხადა მედიასთან საუბარში ბექა ნაცვლიშვილმა.

მისი თქმით, სასამართლო სისტემაში მარტო ერთეული პერსონების შეცვლა საკმარისი არ არის. ამბობს, რომ სისტემის ფუნდამენტური ცვლილებაა საჭირო.

ამის შესახებ ის და მისი თანამოაზრეები დღეს, 24 იანვარს ჩანიშნულ უმრავლესობის სხდომაზე ისაუბრებენ.

ნაცვლიშვილი იმედოვნებს, რომ განკითხვის დღის შემდეგ სიტუაცია უკეთესობისკენ შეიცვლება.

– იმედია, უმრავლესობის სხდომა გახდება საფუძველი იმის გააზრებისა, რომ სასამართლო რეფორმაში არა მხოლოდ ის საფრთხე არსებობს, რომ ეს მოსამართლეები უზენაეს სასამართლოში უვადოდ იქნენ არჩეული, არამედ სასამართლოს ფუნდამენტური რეფორმა სჭირდება.

ამის გააზრება თუ მოხდება, ერთხელ და სამუდამოდ შეიქმნება ისეთ სისტემა, რომლის მიმართაც საზოგადოების ნდობა მყარი იქნება და ამასთანავე, ნდობა აღდგება. საზოგადოების ნდობა სასამართლო სისტემის მიმართ დაბალია, – აღნიშნა ნაცვლიშვილმა.

# გედევან ფოფხაძე: „არასდროს დამიმალავს საკუთარი პოზიცია, რომ უვადოდ დასაჭერი მოსამართლეები უვადოდ ინიშნებოდნენ“

– საუბარია იმაზე, რომ მოსამართლეებს, რომლებიც დასაჭერი იყვნენ, მაგრამ არ დავიჭირეთ და სასამართლო სისტემაში დავტოვეთ, ნულარ დავაწინაურებთ და უზენაეს სასამართლოში ნუ მოვიყვანთ, რადგან ამით სასამართლოს სამივე ინსტანცია იკვრება და ერთი კლანის ხელში ჩავარდება, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ უმრავლესობის დეპუტატმა გედევან ფოფხაძემ განუცხადა.

მისი თქმით, არასდროს მალავდა საკუთარ პოზიციას იმის შესახებ, რომ „უვადოდ დასაჭერი მოსამართლეები უვადოდ ინიშნებოდნენ“, რაზეც მისივე ინფორმაციით, დეპუტატმა ვანო ზარდიაშვილმა უთხრა, რომ არასახელმწიფოებრივ განცხადებებს აკეთებდა.

– მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნის პროცესი დაახლოებით წელიწადნახევრის წინ დაიწყო. ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ და ევროკავშირმაც ჩვენ ძალიან თავაზიანად გვირჩია, რომ მოსამართლეთა უვადო დანიშვნებისგან თავი შეგვეკავებინა. „მერიოტში“ ჩატარდა კონფერენცია და ეს ის დღეა, როცა პარლამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ მოსამართლეებთან დაკავშირებული ფორმატი პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტისგან გადაიბარა. იქ იყო ჩინჩალაძე, მურუსიძე, გვრიტიშვილი, მთელი იუსტიციის უმაღლესი საბჭო და მაშინ მე მათ ვუთხარი, რომ უვადოდ დასაჭერ ხალხს უვადო მოსამართლეებად ნიშნავდნენ. ასეთი პოზიცია 2013 წლიდან მქონდა და ეს პოზიცია არ შემიცვლია. ამ პოზიციას მხარს უჭერდა ეკა ბესელია, ზაქარია ქუცნაშვილი, წინა მოწვევის პარლამენტში შალვა შავგულიძე. ეს პოზიცია იმაში მდგომარეობდა, რომ სასამართლო სისტემის ისეთი რეფორმა განხორციელებულიყო, რომ იუსტიციის საბჭო „ძველების“ ხელში არ ჩავარდნილიყო და ვინც გასაშვები იყო, გაგვეშვა, – განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ გედევან ფოფხაძემ, რომელმაც აქვე დასძინა, რომ ის უმრავლესობის ხვალინდელ შეხვედრაზეც დააფიქსირებს მის ამ პოზიციას.



# ეკა გიგაური: „მურუსიძეს ერთხელ შევხვდი და ისე შეშინებული იყო, სასამართლოდან წასვლა უნდოდა“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

მაქვსო. ანუ მან უკვე იცის, მოსამართლეები რას იტყვიან, ისე, რომ კრება არ ჩატარებულა. ეს ნიშნავს, რომ ამ მოსამართლეებს გზავნილებს უკვე აძლევენ და იმ სალაპარაკო თეზისებს, რაც მათ უნდა გააჟღერონ.

ეს ძალიან სამწუხაროა. ძალიან დიდ პატივს ვცემ ამ კლანის გარდა სხვა მოსამართლეებს, რომლებსაც ამ ადამიანების ატანა უხდებათ და რომლებიც ამ ადამიანების გამო ილანძღებიან.

***– ეს მოსამართლეები სირაქლემას პოზიციაში ხომ არ არიან? როდესაც ხედავენ, რომ ასეთი კლანური სისტემაა და ასეთ გავლენებს ახდენენ მათზე, დავალებებს აძლევენ და ა. შ. არ მოვიდა დრო, რომ ხმა ამოიღონ და ამ კლანს დაუპირისპირდნენ?***

– წარმოიდგინეთ, როდესაც კლანის წარმომადგენლები მიდიან მათთან და ამბობენ, რომ მათ აქვთ მხარდაჭერა „ქართული ოცნების“ მხრიდან, ისინი არიან ხელშეუხებლები და როდესაც მათ ხელშია ამ რიგითი მოსამართლეების უვადოდ გამწესება სასამართლო სისტემაში. როდესაც ეს მოსამართლეები ხედავენ, რომ ყველა, ვინც ამ კლანის წინააღმდეგ ხმა ამოიღო, აღარ გადაინიშნა სასამართლო სისტემაში, ძალიან რთულია, მათ ჩვენ ეს მოვთხოვოთ.

ძალიან ვწუხვარ მოსამართლეთა ამ კორპუსის გამო, რომლებიც პირველ რიგში ამ კლანის გამო ილანძღებიან.

***– მურუსიძემ ისიც თქვა, რომ სასამართლოში დღეს წარმატებებია და საქართველო ევროკავშირის ქვეყნებს შორის მართლმსაჯულების ხარისხით მე-18 ადგილზეა. რამდენად რეალურია ეს ინფორმაცია?***

– მან მოიყვანა შერჩევითად გარკვეული კვლევების შედეგები. მხოლოდ და მხოლოდ ის კვლევები, სადაც პოზიტივზე წერია. მაგრამ ეს კვლევები ერთი კუთხიდან ტარდებოდა. რაც შეეხება საქართველოში სასამართლოს მიმართ ნდობას, ეს ნდობა უფრო და უფრო ეცემა. ამაზე საუბრობენ საერთაშორისო ორგანიზაციებიც და მათ შორის, ადგილზე ყოფილი საელჩოებიც.

გავიხსენებ ინვესტორთა საბჭოს ერთ-ერთ სხდომას, როცა ევროკავშირის ელჩმა პირდაპირ თქვა, რომ სასამართლოში სავარაუდო კორუფციებზეა საუბარი და გულისტკივილი გამოთქვა. ასევე სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში საუბარი იყო იმაზე, რომ სასამართლო გარე გავლენებისგან უნდა გათავისუფლდეს.

პირველ რიგში, ჩვენ უნდა შევხედოთ იმას, რა გვაქვს. ვინც მურუსიძის ინტერვიუს შეხედავს, ნახავს, რომ ამ ადამიანის ადგილი სასამართლო სისტემაში არ არის. სანამ ის მოსამართლეებს მოსთხოვს, რომ მას დაემსგავსონ, ჩვენს სასამართლოს არაფერი ეშველება.

# „წითელას აცრისგან თავი არ შეიკავოთ“

ლელა მდივანი

საქართველოში წითელას ეპიდაფეთქებაა. ჯერ კიდევ პირველი იანვრიდან 16 იანვრის ჩათვლით, წითელას 312 შემთხვევა დაფიქსირდა. ამ დაავადების გავრცელების არეალებად კი კახეთი, იმერეთი და სამეგრელო დასახელდა.

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დირექტორი ამირან გამყრელიძე ამ პერიოდში საუბრობდა აღნიშნულ პრობლემაზე და ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ დაავადების შემთხვევათა 56%, ძირითადად, 20-დან 40 წლამდე ასაკის პირებზე მოდის.

თუ რატომ გვხვდება წითელათი ინფიცირებულთა უფრო დიდი რიცხვი მოზრდილებში, რა არის მისი პრევენციის ერთადერთი გზა და რა შემთხვევაშია საჭირო ექიმის ჩარევა, ამაზე „ახალ თაობასთან“ ინფექციონისტი **მაია ზალდასტანიშვილი** საუბრობს.

***– როგორც ვიცით, წითელა ბავშვთა ინფექციაა, თუმცა მოზრდილებშიც გვხვდება, თან საკმაოდ რთულად. რატომ ხდება ასე?***



– მოზრდილ ადამიანს ხშირად თან ახლავს სხვადასხვა ქრონიკული დაავადებები და ამიტომ იჩენს უფრო რთულად თავს. საერთოდ ბავშვთა ინფექციაა, მაგრამ ცუდად ჩატარებული ან არჩატარებული აცრები იწვევს იმას, რომ მოზრდილ ადამიანსაც ხვდება, თორემ წესით მოზრდილს არ უნდა შეხვდეს თუ დროულად აქვს ჩატარებული პროფილაქტიკური აცრები და კარგად, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩაშლილმა აცრის სისტემამ გამოიწვია ის, რომ ძალიან ხშირია და უფრო მეტად მოზრდილი პაციენტები მოდიან კლინიკაში, ვიდრე ბავშვები.

***– ძირითადად, ხომ ბავშვობაში იცრებიან და რამდენ ხანს ძლებს ეს ვაქცინაცია. ანუ მოზრდილ ასაკში რა დრომდე შეგვიძლია, რომ არ ჩავიტაროთ?***

– აცრისგან არანაირად არ უნდა შევიკავოთ თავი არც ერთ შემთხვევაში. აცრას უკუჩვენება არ აქვს. თუკი ალერგიული რეაქცია არ აქვს პაციენტს ვაქცინაზე, არანაირი უკუჩვენება არ ექნება. წლინახევრის ასაკში და 5 წლის ასაკში როდესაც აიცრება ადამიანი, ეს იძლევა იმუნიტეტს და 90 პროცენტი დაცულია პაციენტი, თუმცა, შესაძლოა, შეხვდეს, მაგრამ პროცესი უფრო მსუბუქად მიდის.

***– თუ შეიძლება, რომ ვისაც H1N1 ტიპის ვირუსზე აქვს აცრა გაკეთებული, წითელაზეც აიცრას? რამდენად რეკომენდებულია ეს.***

– დაახლოებით 2 კვირის შემდეგ შეიძლება ჩაიტარონ წითელას ვაქცინა.

***– კიდევ ვისთვის არ შეიძლება ვაქცინის გაკეთება?***

– არ შეიძლება იმისთვის, ვისაც ვაქცინაზე ალერგია აქვს ან იმ დროს აქვს მწვავე დაავადება და მაღალი ცხელება. სხვა შემთხვევაში, ყველა ადამიანისთვის შესაძლებელია.

***– ორსულებისთვისაც?***

– ორსულებისთვისაც შესაძლებელია ვაქცინაცია, მაგრამ ჯობს თავი შეიკავონ.

***– რა შემთხვევაშია რთული წითელასთან გამკლავება?***

– საერთოდ, ინტოქსიკაციით მიმდინარე დაავადებაა და სანამ არ მოხდება სხეულის დაფარვა გამონაყრით, გამკლავება უფრო ხშირად მიდის ძალიან კეთილთვისებიანად, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ძალიან გაგრძელდება სიცხე, ძალიან აიწია ტემპერატურამ, შეუპოვარი გახდა 5 დღეზე მეტხანს, გაუჭირდა სუნთქვა და ძალიან ძილიანობს პაციენტი, ამ შემთხვევაში უნდა მოხდეს მისი ჰოსპიტალიზაცია. სხვა შემთხვევაში ჰოსპიტალიზაცია აუცილებელი არ არის.

***– პრევენციისთვის აცრის გარდა რამე შეგვიძლია გავაკეთოთ?***

– მისი პრევენცია მხოლოდ აცრით შეიძლება, სხვა არაფრით.

# ოჯახში ძალადობისა და ცივი იარაღის ტარებისთვის ბრალდებულს 2 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა



პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, ოჯახში ძალადობისა და ცივი იარაღის ტარებისთვის ბრალდებულს 2 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ოჯახში ძალადობისა და ცივი იარაღის ტარებისთვის ბრალდებული პ.თ. დამნაშავედ ცნო.

სასამართლოში პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2017 წლის 28 ივნისს, ქ.თბილისში, საკუთარ საცხოვრებელ ბინაში პ.თ.-მ მცირეწლოვანი შვილის თანდასწრებით, ცოლის მიმართ ფიზიკური ძალადობა განახორციელა. სასამართლოში ასევე დადასტურდა, რომ პ.თ., რომელსაც ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ მოხმარებისთვის ადმინისტრაციული სახდელი ჰქონდა შეფარდებული, 2017 წლის 30 ივნისს დანას ატარებდა.

სამართალდამცველებმა პ.თ. 2017 წლის 30 ივნისს ქ. თბილისში დააკავეს. მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 1261 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, ჩადენილი არასრულწლოვანის თანდასწრებით) და 2381 მუხლის პირველი ნაწილით (ცივი იარაღის ტარება) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ პ.თ. სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებებში და სასჯელის სახედ და ზომად 2 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

# იტალიაში ქართველი მხატვარი თამარ მოდებაძე ქართველმა მოკლა

## რა მოხდა ნეაპოლში




სასტიკი მკვლელობა მოხდა იტალიაში – ნეაპოლში საქართველოს მოქალაქემ, სავარაუდოდ, ქართველი ქალი მოკლა.

3-დღიანი ძებნის შემდეგ მოკლულ თამარ მოდებაძეს მეგობრის სახლში მიაკვლიეს.

ცხედარს წამების კვალი ემჩნევა. ქალს დაზიანებები ხელებისა და კისრის არეში აქვს.

მოკლულის ახლობლები ყვებიან, რომ ქალი ჯერ აწამეს და შემდეგ მოკლეს. მან, სავარაუდოდ, მკვლელის სახლში ნახატი მიიტანა – დაკარგულია თანხა და საბუთები.

ქალი მუშაობდა ერთ-ერთ ოჯახში და როცა ოჯახში არ დაბრუნდა კვირა საღამოს, ოჯახმა ის მოიკითხა და მისი ძებნა დაიწყო.

იტალიაში მცხოვრები ქართველების ინფორმაციით, სავარაუდოდ, მკვლელმა ქვეყანა უკვე დატოვა და ის საქართველოშია.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ემიგრანტის იმედის" ხელმძღვანელმა შოთო მოდებაძემ ფეისბუქში დაწერა:

„კიდევ ერთი საშინელი უბედურება შემატყობინეს იტალიიდან ამ წუთებში.

ძალიან მაგარი ადამიანი, უნიჭიერესი ხელოვანი თამარ მოდებაძე იტალიაში საკუთარ სახლში სასტიკად ნაწამები და მოკლული იპოვეს....

იმედია, სალვინის უწყება ამ ფაქტს გამოიძიებს და დამნაშავეებს მკაცრად დასჯის. უფალმა დაუმკვიდროს სასუფეველი ქალბატონ თამარს!"

მისი თქმით, ქართველი მხატვრის ნახატები არაერთხელ გახდა იტალიელი პოეტისა და მწერლის დანიელა ფერაროს შთაგონების წყარო და მის ნახატებზე შექმნილი ლექსები და თხზულებები გამოცემულია ალბომად, რომელსაც „პოეტური ფიქრები" ჰქვია.

მის შემოქმედებას ვრცელი სტატია მიუძღვნა პარმის უნივერსიტეტის პროფესორმა რებეკა როსეტიმ, რომელმაც მისი ნახატი „ხუთი განზომილება" ლეონარდო და ვინჩის ხელწერასა და ხედვას შეადარა.

თამარ მოდებაძის ფერწერული ტილოებით დაინტერესებულია დანიის ხელოვნების მუზეუმი, სადაც ქართველი მხატვრის ნამუშევარმა „მისტიკური მზერა" დიდი ინტერესი გამოიწვია. ეს ნახატი ევროპის ხელოვნების მუზეუმშია დაცული და „საუკეთესო ნამუშევართა კოლექციაშია" შეტანილი.

თამარ მოდებაძის ნამუშევრები გამოფენილია ევროპის მუზეუმებში, სადაც არაერთი ჯილდო აქვს მიღებული. მისი ბიოგრაფია უცხოურ კატალოგებშია შეტანილი.

2015 წელს მხატვარი კვიპროსიდან საცხოვრებლად იტალიაში გადავიდა და მონაწილეობა მიიღო მილანში გამართულ გამოფენაში, სადაც მის ორ ნამუშევარს – „მღელვარე ზღვა" და „ხუთი განზომილება" ხელოვნებათმცოდნეებმა მაღალი შეფასება მისცეს.

მიუხედავად სერიოზული აღიარებისა, ძალიან თავმდაბალი ადამიანი იყო, საკუთარ თავზე ლაპარაკი უჭირდა და თვლიდა, რომ ნიჭიერება და ადამიანობა უბრალოებაშია.

„შინაგანად ყოველთვის ქართველი ვარ და ქართველად დავრჩები. ჩემი ქართული ბუნება და ხასიათი ვერც იტალიამ შეცვალა და ვერც კვიპროსმა.

ყოველთვის ვოცნებობდი, რომ ჩემ ქვეყანაში საკუთარი სახელოსნო მქონოდა და იქ მემუშავა.

– რომელია კითხვა, რომელსაც საკუთარ თავს ხშირად უსვამთ?

– როდის შევძლებ საქართველოში დაბრუნებას? – აცხადებდა ემიგრანტი ქალი.

# „დღეს სასამართლო ხელისუფლება გზაგასაყარზე დგას"

## ნაზი ჯანეზაშვილმა და ანა დოლიძემ 278 მოსამართლეს წერილი გაუგზავნეს




საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრები ნაზი ჯანეზაშვილი და ანა დოლიძე 278 მოსამართლეს სათითაოდ უგზავნიან პერსონალურ წერილს.

ამის შესახებ ნაზი ჯანეზაშვილმა და ანა დოლიძემ გუშინ, 23 იანვარს გამართულ ბრიფინგზე განაცხადეს.

წერილში ნათქვამია:

„პატივცემულო მოსამართლეებო, გადავწყვიტეთ დღეს მოგვემართა თქვენთვის, რადგან მიგვაჩნია, რომ დამოუკიდებელი სასამართლო ვერ შედგება თითოეული თავისუფალი მოსამართლის გარეშე.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილებამ, წარედგინა 10 მოქმედი მოსამართლე კანდიდატურად უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად, მკვეთრად წარმოაჩინა ის პრობლემები, რომლის წინაშეც დგას სასამართლო ხელისუფლება. მათ შორის, აღსანიშნავია, რომ იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დღეს მოქმედი 294 მოსამართლიდან ისე შეარჩია 10 კანდიდატურა, რომ სხვა მოსამართლეებზე არც კი უმსჯელია, რომ აღარაფერი ვთქვათ ზოგადად სხვა შესაძლო კანდიდატებზე.

დღეს სასამართლო ხელისუფლება დგას გზაგასაყარზე: ან სასამართლო იქნება შიდა დემოკრატიულ მმართველობაზე დამყარებული, კანონზე დაფუძნებული სახელმწიფოსა და ხალხის სამსახურში, ან კიდევ უფრო დასცილდება კანონის უზენაესობისა და სამართლიანობის პრინციპებს და გაიზიარებს ერთი ვიწრო ჯგუფის ინტერესებს.

სასამართლოსთან მიმართებაში ყველა ჩვენი მცდელობის ამოსავალი წერტილია ბრძოლა სასამართლოში არაკანონისმიერი გავლენების წინააღმდეგ. ჩვენი მიზანია სასამართლოს შიგნით გავლენების აღმოფხვრა, კეთილისინიდისერი და პროფესიულად ძლიერი მოსამართლეების წარმოჩენა და გაძლიერება. ამრიგად, ჩვენთვის თითოეული კეთილსინდისიერი და კომპეტენტური მოსამართლე ძვირფასია. ამ გზაგასაყარზე გადამწყვეტია თქვენი არჩევანი. თქვენ მიერ გადადგმული ნაბიჯები სამართლიანი და დამოუკიდებელი სასამართლოს მხარდასაჭერად, გამოხატული ნებისმიერი ფორმით, მნიშვნელოვნად გააძლიერებს ამ მისწრაფებას.

ამა წლის 26 იანვარს დაგეგმილია მოსამართლეთა 25-ე რიგგარეშე კონფერენცია, რომლის ერთადერთ საკითხად განსაზღვრულია სასამართლოსა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ირგვლივ განვითარებული მოვლენების განხილვა.

ამ საკითხთან მიმართებაში მოგმართავთ, რომ დაიცვათ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ინტერესი; და გაითვალისწინოთ, რომ ქვეყანას სჭირდება დამოუკიდებელი და ამავე დროს ანგარიშვალდებული სასამართლო.

თუმცა ბევრი თქვენთაგანი შეიძლება იმყოფებოდეს წნეხის, შიდა ცენზურის და თვითცენზურის ქვეშ. შესაბამისად, გვინდა იცოდეთ, რომ ყველაფერს გავაკეთებთ იმ მოსამართლის უფლებების დასაცავად, ვისთვისაც ინდივიდუალური დამოუკიდებლობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე კორპორაციული ინტერესი ან ვიწრო ჯგუფის მიმართ ერთგულება".

# ადვოკატი ტაბატაძე: „გარდაცვლილი 4 წლის გოგონას დედა, ლელა ქსოვრელი, თავს დამნაშავედ არ მიიჩნევს"




სანზონაში გარდაცვლილი 4 წლის გოგონას დედა, ლელა ქსოვრელი, თავს დამნაშავედ არ მიიჩნევს.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს" ქსოვრელის ადვოკატმა ნინო ტაბატაძემ განუცხადა.

როგორც ტაბატაძე აცხადებს, მისთვის უცნობია, თუ რას ედავებიან ოფიციალურად ქსოვრელს.

– მან კანონით მინიჭებული დუმილის უფლება აირჩია, ის თავს დამნაშავედ არ ცნობს და არ აღიარებს დანაშაულს. ბრალი ჯერ არ წაუყენებიათ, ჯერ საქმის მასალები არ გადმოუციათ, შესაბამისად, ოფიციალურად რა ფაქტზე დაიწყო ძიება, არ ვიცი.

როგორც პროკურორმა გადმომცა ინფორმაცია, ის დაკავებულია შემაკავებელი ორდერის დარღვევისთვის. რადგან არ ვიცით, ოფიციალურად რას ედავებიან, საერთოდ ვიყენებთ დუმილის უფლებას, თუ რას არ აღიარებს, საქმის მასალებს რომ მივიღებთ, შემდეგ დავაფიქსირებთ, – განაცხადა ტაბატაძემ.

როგორც ადვოკატმა აღნიშნა, სავარაუდოდ, არ დადასტურდება მეზობლების განცხადება იმის შესახებ, რომ ბავშვი ცემის შედეგად დაიღუპა.

* * *

გარდაცვლილი ბავშვის მამინაცვალი გოგონაზე ძალადობას უარყოფს. არკადი ზალაშვილი პირველ კომენტარს აკეთებს და ამბობს, რომ 4 წლის გოგონა ბოლო დროს ცუდად იყო და ის ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა.

მისივე თქმით, ბავშვი ოჯახში აგვისტოში დაბრუნდა და ამის შესახებ პოლიციაც ინფორმირებული იყო.

დაღუპული ბავშვის მამინაცვალი იმასაც ამბობს, რომ გოგონას დედაზე არანაირი შემაკავებელი ორდერი არ იყო გაცემული.

– რა შემაკავებელი ორდერი, არავინ არა სცემდა, ვინცა თქვა, ეგენია მოსყიდული ხალხი, კონტრაში არიან ჩემთან. არავის ეკრძალებოდა მიახლოება, ჩემთან იზრდებოდა ბავშვი. იცოდა პოლიციამ, რომ დედასთან იყო ბავშვი. იცოდნენ, რომ დედა არაფრის ის არ იყო... და ყურადღების ქვეშ იყო ყველაფერი, – ამბობს ზალაშვილი.

4 წლის გოგონას ფიზიკური დაზიანებების კვალი აღენიშნება. როგორც მეზობლები ამბობენ, დედა და მამინაცვალი ბავშვს ხშირად სცემდნენ. ძალადობის ერთ-ერთი შემთხვევის დროს ადგილზე გამოძახებულმა პოლიციამ ბავშვის დედას შემაკავებელი ორდერი გამოუწერა.

არკადი ზალაშვილი კი დაკითხვაზე იმყოფებოდა, თუმცა ის პოლიციის სამმართველოში შეუძლოდ გახდა და საავადმყოფოში გადაიყვანეს.

4 წლის ბავშვი 22 იანვარს გარდაიცვალა.

# ძალადობაში ბრალდებული გეგა გეგეშიძე დუმილის უფლებას იყენებს




სპორტის სასახლეში მომხდარი სკანდალის მთავარი ფიგურანტი, ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი, გეგა გეგეშიძე წინასწარი დაკავების იზოლატორშია მოთავსებული.

ადვოკატი ირმა ჭკადუა ვრცელ კომენტარს არ აკეთებს.

– საქმის მასალებს არ გავცნობილვარ, რადგან ჯერ არ გადმომცემია. როგორც კი გავეცნობი, გავაკეთებ განცხადებას, – აცხადებს ადვოკატი.

გეგა გეგეშიძე დუმილის უფლებას იყენებს. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც ძალადობას გულისხმობს და ერთ წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

შეგახსენებთ, რომ ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე ზურაბ დათუნაშვილმა ფეისბუქში განცხადება გაავრცელა, სადაც აღნიშნავს, რომ 11 იანვარს საქართველოს ჩემპიონატზე მას თავში რკინის ბლაგვი საგანი ჩაარტყა საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა გეგა გეგეშიძემ.

მოგვიანებით კი მედიაში სკანდალური ვიდეო გამოქვეყნდა. კადრებში ჩანს, რომ ჩოჩქოლის დროს ფედერაციის პრეზიდენტი, გეგა გეგეშიძე, ევროპის ორგზის ჩემპიონს ზურაბ დათუნაშვილს ჯაჭვით ხელში უახლოვდება, რომელსაც ზურა დათუნაშვილის მიმართულებით იქნევს. სპორტსმენს ჯერ ჯაჭვი, შემდეგ კი მუშტი სახეში ხვდება.

* * *

ინციდენტი უნდა მოგვარდეს სპორტულ ოჯახში, – ეს განცხადება გუშინ, 23 იანვარს, ბათუმში სპორტსმენებმა გააკეთეს.

მათ გეგა გეგეშიძის გათავისუფლება მოითხოვეს და პროტესტის ნიშნად აქცია გამართეს.

– შემთხვევითი ინციდენტი მოხდა, რასაც, ცხადია, ვგმობთ. მაგრამ მოჭიდავეებს შორის ჩხუბი პირველია თუ რა?! არ გვინდა გუნდი ორად გაიხლიჩოს. ინციდენტი უნდა მოგვარდეს სპორტულ ოჯახში.

გეგეშიძე ჩხუბში გასაშველებლად შევიდა, ორჯერ გალახეს და ის რომ ურტყამს, მხოლოდ ეს ჩანს. საკითხი პოლიტიკურ ჭრილში განიხილება, რაც დაუშვებელია, – განაცხადეს აქციის მონაწილეებმა.

# საბავშვო ბაღში ბავშვმა სადეზინფექციო ხსნარი დალია გამოძიება 124-ე მუხლით დაიწყო

ბათუმში, 31-ე საბავშვო ბაღში 4 წლის გოგონას მიერ სადეზინფექციო ხსნარის დალევის ფაქტზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება „სისხლის სამართლის კოდექსის" 124 -ე მუხლით დაიწყო, რაც გაუფრთხილებლობით ჯანმრთელობის დაზიანებას გულისხმობს.

ფაქტზე მოკვლევას საბავშვო ბაღის დისციპლინური კომისიაც აწარმოებს. შეგახსენებთ, რომ ბათუმში, №31-ე საბავშვო ბაღში 4 წლის ბავშვმა სადეზინფექციო ხსნარი დალია.

შემთხვევა 3 დღის წინ მოხდა.

# ბათუმის სამხედრო ნაწილში სამხედრო დაჭრეს

## ის მართვით სუნთქვაზეა გადაყვანილი



22 იანვარს ბათუმის სამხედრო ნაწილში დაჭრილ სამხედროს ოპერაცია ჩაუტარდა. სამხედრო მართვით სუნთქვაზეა გადაყვანილი. მას 3 ჭრილობა აქვს მიყენებული.

ბათუმის მედცენტრის ექიმ გენადი გოლომონიძის განცხადებით, პაციენტს ცეცხლსასროლი იარაღით აქვს ჭრილობები მიყენებული.

– აღენიშნება იღლიის მხრის და წინა მხრის არეში ღია ჭრილობები, ნაფლეთი ჭრილობები, მიყენებული ცეცხლსასროლი იარაღით. პაციენტს აღენიშნებოდა ტრავმული შოკი, გადაყვანილია მართვით სუნთქვაზე.

ჩვენთვის ცნობილია, რომ ეს არის ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული, თუმცა, რა და როგორ და რა სიტუაციაში, არ ვიცით, – განაცხადა გენადი გოლომონიძემ.

თავდაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციას თავად ბათუმის ბაზაზე სამხედროები არ ადასტურებენ.

უწყების ოფიციალურ განცხადებაში აღნიშნულია, რომ ბათუმში სამხედრო ბაზაზე უნებლიე გასროლა მოხდა. ტყვია სამხედროს მაშინ ესროლეს, როდესაც საგუშაგოზე სამორიგეოდ იყო გასული. დაჭრილი ჯარისკაცი საბრძოლო მასალების ბაზას იცავდა.

2019, 24 იანვარი, №19

# ტრამპი მექსიკასთან კედლის აშენებას ისევ აპირებს



აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ მექსიკის კედლის აშენების საკითხში უკან დახევას არ აპირებს.

— მხოლოდ კედლის ან ფოლადის ბარიერის აშენების შემთხვევაში ვიქნებით დაცულნი! მხოლოდ ამ შემთხვევაში ამერიკა დაუპატიჟებელი სტუმრებისგან დაზღვეული იქნება და ვერავითარი კრიმინალები თუ ნარკომოვაჭრენი ველარ შემოვლენ, — ამბობს ტრამპი.

რესპუბლიკური პარტიის წევრები ცდილობენ სენატში ისეთი კანონების მიღებას, რაც კედლის ან ფოლადის ბარიერის მშენებლობას ხელს შეუწყობს. დემოკრატები ამას ბლოკავენ.

შათდაუნი კი გრძელდება.

# პოლ უილანი გირაოთი არ გაათავისუფლეს



აშშ-ის მოქალაქე პოლ უილანი, რომელიც რუსეთის სპეცსამსახურებმა დააკავეს, სასამართლოს წინაშე წარდგა.

უილანის ადვოკატის თხოვნა, მისი კლიენტის გირაოთი გათავისუფლების შესახებ, უარყოფილ იქნა.

— უილანი პატიმრობაში რჩება, — იტყობინება მისი ადვოკატი.

რუსები უილანს ბრალს ჯაშუშობაში სდებენ. უილანის ადვოკატის ცნობით, მისი კლიენტის სასტუმროს ნომერში რაღაც საიდუმლო მასალები მართლაც აღმოაჩინეს.

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ეს პროვოკაციაა და უილანს აღნიშნული დოკუმენტები შეუგდეს.

# იულია ტიმოშენკო პრეზიდენტობაზე კენჭს იყრის



კიევში პარტია ბატკივშჩინას ყრილობა დაიწყო. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ პარტიის ლიდერი იულია ტიმოშენკო პრეზიდენტობაზე იქნას წარდგენილი.

დღეისთვის ტიმოშენკო ყველაზე პოპულარულ უკრაინელ პოლიტიკოსად ითვლება. მას მხარს 21% უჭერს. მოქმედი პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო 14%-ით მეორეზეა. 11% აქვს შოუმენ ზელენსკის. პრორუსული ორიენტაციის ბოიკო 8%-ით მეოთხეზეა.

წლევანდელი საპრეზიდენტო არჩევნები უკრაინის დამოუკიდებლობის 25 წლის მანძილზე პირველია, როცა ერთმანეთს დაუპირისპირდებიან არა პრორუსული და პატრიოტული ორიენტაციის მოღვაწეები, არამედ პატრიოტები. მთავარი ბრძოლა პოროშენკოსა და ტიმოშენკოს შორის გაიმართება.

ტიმოშენკო ამომრჩეველს ევროინტეგრაციას, ბუდაპეშტის მემორანდუმის ამოქმედებას, კორუფციასთან ბრძოლას და ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნებას ჰპირდება. პოროშენკოს მსგავსად, ისიც უარყოფს უკრაინის ფედერალიზაციას, რუსული ენისთვის სახელმწიფო სტატუსის მინიჭებას, დონბასის განსაკუთრებულ სტატუსს.

უკრაინაში ძლიერი პატრიოტული განწყობილებების არსებობას უკვე მისი არაკეთილმოსურნენიც აღიარებენ. ოდესელმა სეპარატისტმა მარკოვმა, რომელიც ახლა რუსეთში ცხოვრობს, განაცხადა, რომ მშვიდობიანი მეთოდებით უკრაინის მოსკოვისკენ შემობრუნება ვერ მოხერხდება.

— შესაძლოა, პოროშენკომ არჩევნები წააგოს და ის ტიმოშენკომ შეცვალოს. მერე რა?! ამჟამინდელი საგარეო კურსი გაგრძელდება, უკრაინის ბანდერიზაციაც არ შეწყდება, — აცხადებს მარკოვი.

# აშშ-ის ნაციონალური დაზვერვა: ამერიკას რუსეთისგან საფრთხე ემუქრება!



აშშ-ის ნაციონალური დაზვერვის შეფმა დენ კოუტსმა განაცხადა, რომ მის ქვეყანას რუსეთისგან საფრთხე ემუქრება. საერთაშორისო ინსტიტუტების დასუსტება ნოყიერ ნიადაგს ქმნის საიმისოდ, რომ რუსეთმა არსებულ საერთაშორისო წესრიგს გამოწვევა ესროლოს.

— რუსეთის ხელშია სათანადო ტექნოლოგია. მას შეუძლია როგორც საინფორმაციო, ასევე ჰიბრიდული ომის ეფექტურად წარმოება, — აცხადებს კოუტსი.

აშშ-ის ნაციონალური დაზვერვის შეფი ჩინეთის საკითხსაც ეხება და თქვა, რომ ჩინეთის აქტიურობა საერთაშორისო არენაზე და არმიის მოდერნიზაცია ვაშინგტონის შეშფოთებას იწვევს.

— ამავე დროს, ამ ეტაპზე არსებობს პეკინთან საერთო ენის გამოძებნის საშუალება, — მიიჩნევს კოუტსი.

# პუტინი და აბე კურილებზე ვერ შეთანხმდნენ



Aleksandr Nemenov (AFP)

მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ ვლადიმერ პუტინი და იაპონიის პრემიერი აბე. მოლაპარაკებების ძირითადი თემა რუსეთ-იაპონიის ურთიერთობები იყო.

რუსეთ-იაპონიას შორის სამშვიდობო შეთანხმება ჯერ არ დადებულა. მიზეზი კურილის კუნძულებია. იაპონია რუსეთის მიერ მათ ანექსიას არ ცნობს. პუტინი და აბეც შეთანხმდნენ, რომ აღნიშნული პრობლემა ნელ-ნელა მოაგვარონ.

— კურილების პრობლემა 70 წლის განმავლობაში ვერ გადაწყდა და საეჭვოა, რომ მოკლე ხანში გადაწყდეს. მიუხედავად ამისა, ამ პრობლემის მოსაგვარებლად ყველაფერს ვიღონებ, — თქვა აბემ.

იაპონიის პრემიერმა დაამატა, რომ იმედი აქვს პუტინთან განმეორებითი შეხვედრის.

ეს, სავარაუდოდ, 2019 წლის ზაფხულში მოხდება. ამ ეტაპზე კი კურილის კუნძულების საკითხზე შეთანხმება ვერ მოხერხდა.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

## კალეიდოსკოპი

# იაპონელი პრინცესას საქმრო ვალებს უარყოფს

იაპონელი პრინცესას საქმრომ უარყო გავრცელებული ხმები მილიონიანი ვალების არსებობაზე და თითქოსდა რომლის გამოც იძულებული გახდა ქორწილი გადაედო.

იაპონიის იმპერატორის უფროსი შვილიშვილი მაკო აკისინო კეი კომუროსთან ქორწილს 2018 წლის შემოდგომისთვის გეგმავდა, მაგრამ თებერვალში წყვილმა განაცხადა, რომ ქორწილისთვის მოსამზადებლად უფრო მეტი დრო იყო



საჭირო. ცერემონია 2020 წლის ბოლოსთვის გადაიტანეს. იაპონურ პრესაში ამტკიცებდნენ, რომ ქორწილის მიზეზი საქმროს დედის გადაუხდელი ვალები გახდა.

კომუროს თქმით, ფინანსური საკითხები დიდი ხანია მოგვარებულია. მისი განმარტებით, 2012 წელს დედამისი დაშორდა მამაკაცს, რომელზეც იყო დანიშნული. ერთი წლის შემდეგ მან ნიშნობის დროს მისთვის გამორთმეული 4 მილიონი იენის დაბრუნება მოითხოვა. ქალმა მას განუმარტა, რომ მას ასეთი თანხა არ ჰქონდა, მას შემდეგ ეს საკითხი აღარ წამოჭრილა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ინდოეთში ახალშობილი ცოცხლად დამარხეს



ინდოეთის უტარ-პრადეშის შტატის ქალაქ შახჯახანპურში მოხერხდა ახალდაბადებული ბავშვის გადარჩენა, რომელიც, ღვთისმსახურის მოთხოვნით, მშობლებმა ცოცხლად დამარხეს.

ტანტრიკმა ქურუმმა 20 დღის გოგონას მშობლები დაარწმუნა, რომ ის ბოროტი სულების მიერ იყო შეპყრობილი. ქურუმი ამტკიცებდა, რომ ბავშვის სახლში ყოფნა მათ ცხოვრებას დაუნგრევდა. ამის შემდეგ მათ გადაწყვიტეს, გოგონა დაემარხათ. ბავშვის დედის დამ გოგონა გუბურის ნაპირთან მიიყვანა და დამარხა.

რამდენიმე საათის შემდეგ, როდესაც ჰაერის ტემპერატურა სამ გრადუსამდე დაეცა, ბავშვის ტირილი გამვლელმა გაიგონა. მან სწრაფად მიაგნო იმ ადგილს, საიდანაც ხმა მოდიოდა და ბავშვი მიწიდან ამოთხარა.

— ასეთ სისასტიკეს ვერც კი წარმოვიდგენდი. ბავშვი მიატოვო ასეთ სიცივეში, — განაცხადა ჩვილი გოგონას მპოვნელმა.

გოგონა საავადმყოფოში სტაბილურ მდგომარეობაში იმყოფება. სამართალდამცავებმა ღვთისმსახური, ბავშვის მამა, დედის და და მისი მეუღლე დააპატიმრეს. დედამ მიმალვა მოასწრო და მასზე ძებნაა გამოცხადებული.

# მოტყუებულმა მუშამ მის მიერვე აშენებული სასტუმრო დაანგრია




ინგლისის ქალაქ ლივერპულში მუშამ ექსკავატორით თითქმის ბოლომდე აშენებული სასტუმრო დაანგრია, იმის გამო, რომ ხელფასი არ გადაუხადეს. აღნიშნული ინციდენტის ამსახველი ვიდეო, ერთ-ერთმა ბრიტანულმა საინფორმაციო სააგენტომ გამოაქვეყნა.

ვიდეორგოლის კადრებში ჩანს, რომ ექსკავატორით მძღოლი სასტუმროს კიბეზე ადის და მისი ციცხვით მინის კარს ამტვრევს, რის შემდეგაც შენობაში შედის და უკვე იქ აგრძელებს ნგრევას. კადრს მიღმა ისმის გინების და მამაკაცის რეპლიკა: „აი რა ხდება, როდესაც ხელფასს არ გაძლევენ".

თვითმხილველთა თქმით, ექსკავატორის მძღოლმა პირველივე ცდით ვერ მოახერხა სასტუმროს კიბეზე ასვლა, მაგრამ უკან არ დაიხია და ამის გაკეთება მეორე ცდაზე შეძლო. როგორც კი სასტუმროსთან პოლიცია მივიდა, მამაკაცმა ექსკავატორის კაბინა დატოვა და გაიქცა. მასზე ძებნაა გამოცხადებული.


# განცხადებები

## სხვადასხვა

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

## ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების", მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# კობიაშვილი პრეზიდენტობის ერთადერთი კანდიდატია



საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის 29-ე საარჩევნო ყრილობა 15 თებერვალს ჩატარდება. როგორც სფფ იუწყება, ყრილობაში მონაწილეობის სურვილი ოფიციალურად დაადასტურა 29 სუბიექტმა. 15 თებერვალს 4 წლის ვადით აირჩევენ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს და აღმასრულებელ კომიტეტს.

არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებს ქვემო ქართლის რეგიონული ფეხბურთის ფედერაცია, რომელსაც ამ დრომდე არ მიუმართავს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური სამდივნოსთვის.

საპრეზიდენტო კანდიდატების რეგისტრაციის ვადა ამოიწურა. რეგისტრირებულია მხოლოდ ერთი კანდიდატი: საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მოქმედი პრეზიდენტი ლევან კობიაშვილი, რომელიც კანდიდატად ორგანიზაციის 28 სუბიექტმა წარადგინა.

# ხვიჩა კვარაცხელიას აგენტი მოლაპარაკებას ლოკომოტივთან აწარმოებს



ნიჭიერმა ქართველმა ფეხბურთელმა, ხვიჩა კვარაცხელიამ შესაძლოა კარიერა მოსკოვის ლოკომოტივში გააგრძელოს. დინამოს აკადემიის აღზრდილი, რომელიც ჯერ 18 წლისაც არ არის, სადღეისოდ რუსთავის ფეხბურთელია და ეროვნულ ლიგაშიც არაერთხელ გამოჩენილა. გარდა ამისა, მას 17 და 19 წლამდე ნაკრებშიც უთამაშია.

კვარაცხელიას კონტრაქტზე ჯერ ხელის მოწერა არ შეუძლია, რადგან სრულწლოვანი არ არის და 18 წლის 12 თებერვალს გახდება. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ქართველი ფორვარდის გადაბირებით იური სიომინი დიდად ყოფილა მოწადინებული, თუმცა კვარაცხელია ჯერ რუსთავშია და გუნდთან ერთად ვარჯიშობს, ხოლო ლოკომოტივში გადასვლის შემთხვევაში ის გუნდში იჯარით ჩაირიცხება.

თუ ხვიჩა კვარაცხელია მოსკოვს მიაშურებს, მაშინ ლოკომოტივში 2 ქართველი ფეხბურთელი იქნება. კვარაცხელიას გუნდში ეროვნული ნაკრების მცველი საბა კვირკველია დახვდება.

გავრცელებული ინფორმაციით, კვარაცხელიას აგენტი მამუკა ჯუღელი უკვე მოსკოვშია და ტრანსფერის დეტალებს აგვარებს.

# დე იონგს აიაქსიდან ბარსელონა წაიყვანს



წამყვანი ესპანური გამოცემების ინფორმაციით, ბარსელონა მომავალი სეზონის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მიზნის მიღწევასთან ძალიან ახლოსაა. საქმე ამსტერდამის აიაქსის 21 წლის ტალანტს ეხება, რომლითაც მსოფლიოს წამყვანი კლუბები, განსაკუთრებით კი, პსჟ-ეა დაინტერესებული.

მარკას ცნობით, კატალონიურმა კლუბმა ბოლო 2 კვირის განმავლობაში სატრანსფერო საქმიანობა წარმატებით აწარმოა და ჰოლანდიელი საყრდენი პარიზული გრანდის კლანჭებისგან დაიხსნა.

ჰოლანდიის ნაკრების ახალწვეულის წარმომადგენლები, გარდა პარი სენ-ჟერმენისა, მოლაპარაკებებს მანჩესტერ სიტისთან და ტურინის იუვენტუსთან აწარმოებდნენ, თუმცა თავად ფეხბურთელმა „ბლაუგრანა“ აირჩია.

ესპანეთის ჩემპიონის აგენტები ამსტერდამში მიმდინარე კვირის ბოლოს გაემგზავრებიან და საქმეს ბოლომდე მიიყვანენ. რამდენიმე დღის წინ ჰოლანდიის დედაქალაქს „ბლაუგრანას“ ხელმძღვანელობის დიდი ჯგუფი, მათ შორის ერიკ აბიდალი, ხოსეპ მარია ბარტომეუ და სხვები ეწვივნენ.

ჰოლანდიაში წერენ, რომ პსჟ „ახალ ბუსკეტსში“ 75 მილიონ ევროს იხდიდა, თუმცა ბარსელონა 15 მილიონით მეტის გადახდას დათანხმდა და ევროპის ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული ფეხბურთელი ფაქტობრივად ხელში ამით ჩაიგდო.

თუ დე იონგი ბარსელონასთან კონტრაქტს ოფიციალურად გააფორმებს, მაშინ ხელფასის სახით 16 მილიონ ევროს მიიღებს.

დე იონგი აიაქსის მთავარ გუნდში 2016 წელს დააწინაურეს, მას მერე ფეხბურთელმა 65 მატჩი ჩაატარა და 6 გოლი გაიტანა.

# დიბალას რეალი უმიზნებს



მადრიდის რეალი ზაფხულში პაულო დიბალას შეძენას შეეცდება. ცნობილია, რომ ესპანელები იუვენტუსს ფორვარდის სანაცვლოდ 90 მილიონ ევროს შესთავაზებენ. ამის შესახებ ბრიტანული მედია წერს.

არგენტინელი ვარსკვლავი რამდენიმე გრანდის სამიზნეა. რეალის გარდა მისით ბაიერნი, პსჟ, ლივერპული და ბარსელონა არიან დაინტერესებულები. მიმდინარე სეზონში დიბალამ 25 მატჩი ჩაატარა და 7 გოლი გაიტანა.

რაც შეეხება რეალის სატრანსფერო გეგმებს, მათ მანჩესტერ სიტიდან ბრაჰიმ დიასი უკვე დაიმატეს. დიბალას გარდა „ბლანკოსის“ მესვეურებს თვალი ჰარი კეინზე, მაურო იკარდიზე, ედენ აზარზე და კილიან მბაპეზე აქვთ დადგმული.

სამაგიეროდ, რეალიდან იუვენტუსში გადასვლასთან ახლოს არიან მარსელო და ისკო. არ არის გამორიცხული, ორივე მათგანი დიბალას საქმეში ჩართონ.

# ბექა გორგოძე: „სიურპრიზების მოწყობა ჩვენც შეგვიძლია“

საქართველოს ნაკრების მორაგბე ბექა გორგაძე სწრაფად პროგრესირებს. ჩვენებურმა ფრანგული კარიერა პრო დ 2-ის გუნდიდან დაიწყო და ახლა ტოპ 14 ასპარეზობს. ბოლო პერიოდში იმდენად კარგად, რომ იქაური მედიის ყურადღების ქვეშ მოექცა.

ფრანგულ მედიასთან ბექა საქართველოს ნაკრებს, მოახლოებულ მსოფლიო თასს, ტრავმას და მის ფრანგულ კარიერას ეხება.

***– ბექა, გააცანი თავი ჩვენს მკითხველს.***

– დავიბადე 1996 წლის 8 თებერვალს საქართველოში, თბილისთან მდებარე პატარა ქალაქ რუსთავში. მთელი ბავშვობა იქ გავატარე და რაგბის თამაშიც იქ დავიწყე.

***– ვინ არიან მსოფლიო რაგბიში შენი კერპები?***

– როგორც ყველა ქართველისთვის, ჩემი კერპიც მამუკა გორგოძეა. მამუკა საქართველოში ნამდვილი ლეგენდაა, ყველას სურს, მსგავსი კარიერა ჰქონდეს. საფრანგეთშიც მის გამო წამოვედი. ხოლო რაც შეეხება არაქართველ მორაგბეებს, 8 ნომრის პოზიციაზე ჩემი ფავორიტები კიერან რიდი და დუან ვერმეულენი არიან.

***– საფრანგეთში როგორ და რა ასაკში ჩამოხვედი?***

– საფრანგეთში 18 წლის ასაკში, 2014 წელს ჩამოვედი. იმ წელს პოლონეთში საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებთან ერთად ვითამაშე. ტურნირზე 3 მატჩი გავმართეთ და კარგადაც ვითამაშე. როცა სახლში დავბრუნდი, ფრანგი აგენტი დამიკავშირდა და რამდენიმე თვეში აქ აღმოვჩნდი.

***– რომელი იყო თქვენი პირველი ფრანგული კლუბი?***

– მონ დე მარსანი.

***– საფრანგეთში ბევრი ქართველია. ამან შენ გადმოსვლაში რაიმე როლი ითამაშა?***

– ქართველებისთვის საფრანგეთში სათამაშოდ ჩამოსვლა ნამდვილი შანსია. 2000-იანი წლების შემდეგ ბევრმა მოთამაშემ გაიკვალა ეს გზა. როცა აქ გადმოვედი, თავიდან ყველაფერი მარტივი არ იყო, მაგრამ ფრანგი და ქართველი საზოგადოება ერთმანეთთან ახლოს არის. აქ ყოფნას კი სწორედ ის მიადვილებს, რომ საფრანგეთის პირველობებში ბევრი ჩემი თანამემამულე თამაშობს.

***– რა მოგონებები გაკავშირებს შენს პირველ კლუბთან საფრანგეთში?***

– შესანიშნავი მოგონებები, აქ შესანიშნავი 4 წელი გავატარე, ბოლოს გარდა, რადგან ტრავმამ მოედანს დიდი ხნით დამაშორა. შანსი მომეცა და პროფესიონალი მოთამაშე გავხდი.

***– ბორდოში გასულ ზაფხულს გადაბარგდი. როგორ შეეგუე ახალ კლუბს?***

– ყველაფერი ძალიან კარგად წავიდა, დრო ცოტა მქონდა, თუმცა ზაფხულის მოსამზადებელ ამხანაგურ მატჩებში გუნდთან ინტეგრაცია მოვახერხე.

***– გუნდში 2 თანამემამულე დაგხვდა. ამანაც დააჩქარა შენი ადაპტაციის პროცესი?***

– რა თქმა უნდა. კლუბში სულ 5 ქართველი ვართ (3 მთავარ გუნდში და 2 ახალგაზრდულში). ერთმანეთთან ძალიან ვმეგობრობთ. სულ ერთად ვართ მოედანსა და მის გარეთ. მონ დე მარსანში მარტო ვიყავი, რაც შედარებით რთული იყო. ბორდოში ამ მხრივ უკეთესი სიტუაციაა.

***– ჩემპიონატის დაწყების შემდეგ მოედანზე 12-ჯერ გამოხვედი. ელოდი, რომ ამდენი თამაში მოგიწევდა?***

– ეს ჩემთვისაც სიურპრიზი იყო. როდესაც ბორდოსთან კონტრაქტი გავაფორმე, ტრავმირებული ვიყავი, ამიტომ არ მქონდა ილუზია, რომ ძირითად შემადგენლობაში ვითამაშებდი. მაგრამ შანსი მომეცა, იღბალიც ჩემს მხარეს აღმოჩნდა და ხშირად ვთამაშობ. უკვე 13 მატჩი მაქვს ჩატარებული და ეს გაცილებით მეტია, ვიდრე ამ ეტაპისთვის მეიმედებოდა.

***– რომელი გირჩევნია: მესამე ხაზში ფლანგზე თამაში თუ ცენტრში?***

– ცენტრში თამაშს ვამჯობინებ, მაგრამ ბორდოში მისვლის შემდეგ ვიცოდი, რომ სხვა პოზიციაზეც მომიწევდა თამაში, რადგან ეს პირობა კონტრაქტშიც მიწერია.

***– რამდენწლიან კონტრაქტზე გაქვს ხელი მოწერილი?***



– ზაფხულში 3-წლიან ხელშეკრულებას მოვაწერე ხელი. ამ სეზონის შემდეგ კიდევ 2 წელი მრჩება.

***– როგორ შეაფასებ სეზონის სტარტს ბორდოს რიგებში?***

– სტად დე ფრანსთან წაგების შემდეგ ცუდი ფაზა დაგვეწყო. შემდეგ აჟენთან წავაგეთ, მონპელიესთან კი ფრედ ვითამაშეთ. თუმცა კასტრთან გამარჯვებამ, რომელიც ტოპ 14-ის ჩემპიონია, გუნდში განწყობა აამაღლა.

***– ტოპ 14-სა და პრო დ2-ს შორის რა განსხვავებაა?***

– ამ 2 ჩემპიონატს შორის 2 დიდი განსხვავებაა. პირველი რიგში ტოპ 14-ში თამაშის სისწრაფე განსხვავებულია, გადაწყვეტილების მიღება უფრო ჩქარა გვიწევს. მეორე კი პრესინგია, ამ ტურნირში უფრო დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობ.

***– ამ მომენტისთვის ბორდო ჩემპიონატში მე-7 ადგილს იკავებთ. რა არის მთავარი მიზანი?***

– ცხრილი ძალიან მჭიდროა, მე-7 ადგილზე ვართ, თუმცა მეექვსე პოზიციასთან მხოლოდ ქულა გვაშორებს. ჩვენი მიზანი ფინალურ ეტაპზე თამაშია. ამისთვის ექვსეულში უნდა მოვხვდეთ და გრძელი სეზონის განმავლობაში არაფერია მიუღწეველი.

***– როგორ ახსნი ბორდოს წარუმატებლობას „ჩელენჯ კაპზე“?***

– წარუმატებლობაზე საუბარი არ მსურს.

***– რასინგთან თამაშის შემდეგ საზოგადოებამ უკეთესად გაგიცნო. როგორ ფიქრობ, ეს შენთვის გარდამტეხი მატჩი იყო?***

– მატჩამდე დიდი პრესინგის ქვეშ ვიყავი, ეს ჩემთვის პირველი საშინაო შეხვედრა იყო. მინდოდა ყველაფერი კარგად გამეკეთებინა და თამაშიც კარგად წავიდა, დამთავრებული არაფერია. სამუშაო ჯერ კიდევ ბევრი მაქვს და წინ მივიწევ.

***– პაუსთან მატჩში მოედნიდან გაგაძევეს. როგორ გგონია, ეს სასჯელი სამართლიანია?***

– სირცხვილია. კარგად დავიწყე, მაგრამ კომენტარის გაკეთება არ მსურს. მსაჯის გადაწყვეტილებას პატივს ვცემ. თუმცა, ცხადია, რომ 3-კვირიან დისკვალიფიკაციას არ ველოდი. საბედნიეროდ, სანაკრებო მატჩები მოდის და ფორმის შენარჩუნებას მოვახერხებ.

***– რამდენიმე კვირის წინ არავინ გიცნობდა, ახლა უკვე მედიის ყურადღების ქვეშ ხარ.***

– ამას პოზიტიურად ვიღებ. ახლა ვალდებული ვარ, ყველაფერი გავაკეთო, რომ იმ ხალხისა და ბორდოს გულშემატკივრების იმედები გავამართლო, ვინც ჩემით დაინტერესებულია.

***– შენ არ ხარ ერთადერთი ქართველი, რომელმაც სეზონის დასაწყისში გაიბრწყინა. რას ფიქრობ გურამ გოგიჩაიშვილზე?***

– ის საფრანგეთში ზაფხულში ჩამოვიდა, ჯერ ფრანგულადაც ვერ საუბრობს და უკვე რასინგის უდავო ლიდერია, რაც მის ტალანტს კარგად აჩვენებს. მასთან ერთად საქართველოს ნაკრებში ნოემბრის ტესტებში ვითამაშე და ძალიან გახსნილი ადამიანია. მასთან ერთად თამაში დიდი პატივია.

***– ნოემბრის ტესტებმა როგორ ჩაიარა?***

– თუ გუნდური შედეგიდან გადავხედავთ, 3 მატჩში 2 მოგება კარგი შედეგია. ჩვენ უკვე მსოფლიო თასისთვის ვემზადებით. მე ტრავმის გამო გუნდს რამდენიმე თვის შემდეგ შევუერთდი, თუმცა მწვრთნელები მენდნენ და სამჯერ მატჩის საუკეთესო მოთამაშედ დავსახელდი.

***– რა სტატუსი გაქვს ეროვნულ გუნდში?***

– სტატუსებზე საუბარი ნაადრევია. გუნდში ახლახან დავბრუნდი და ყველაფერს მოგვიანებით ვნახავთ.

***– მსოფლიო თასი ახლოვდება, ამაზე ფიქრობ?***

– ცხადია, ვფიქრობ. ეს ჩემი მიზანი და ბავშვობის ოცნებაა. 2015 წელს მსოფლიო ჩემპიონატისთვის ვემზადებოდი, თუმცა მონაწილეობა ვერ მივიღე. იქ ყოფნა მინდოდა, თუმცა იმედი მაქვს, ამ წელს ეს გამომივა.

***– დ ჯგუფში თქვენი მეტოქეები ავსტრალია, უელსი, ურუგვაი და ფიჯია. რა შანსები აქვს საქართველოს ნაკრებს?***

– მსოფლიო თასზე მარტივი მატჩები არ არსებობს. ვიცით, რომ რთული იქნება, თუმცა ჩვენი ძალების გვწამს. მიზანი მინიმუმ 2 თამაშის მოგებაა, თუმცა რატომაც არ უნდა ვიფიქროთ სიურპრიზებზე?

***– საფრანგეთის ჩემპიონობა ბორდოსთან ერთად თუ მსოფლიო ჩემპიონობა საქართველოსთან ერთად?***

– ცხადია, მსოფლიო ჩემპიონობა მსურს. ეს ნებისმიერი მორაგბის ოცნებაა, მაგრამ ბორდოსთან ერთად საფრანგეთის ჩემპიონობაც შესანიშნავი იქნება.

***– რა პირადი მიზნები გაქვს?***

– მინდა მსოფლიო თასზე მონაწილეობა მივიღო და კარგად ვიასპარეზო, ეს მხოლოდ შრომით შეიძლება გამოვიდეს.

***– რა უნდა გისურვოთ სეზონის ბოლოსთვის?***

– ჯანმრთელობა, განსაკუთრებით, ტრავმის არმიღება. ბორდოს რიგებში კი ექვსეულში მოხვედრა და ამის შემდეგ ტიტულზე ოცნებაც შეიძლება.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

## პოლიციის ძაღლზე კონტრაბანდისტებმა ნადირობა გამოაცხადეს




დიდ ბრიტანეთში იძულებული გახდნენ პოლიციის ძაღლი გადაემალათ, რადგან მისი მოკვლისთვის მსხვილი ჯილდოა დაწესებული.

ხუთი წლის მანძილზე სპრინგერ-სპანიელმა, სახელად სკემპმა, ექვსი მილიონი ფუნტი სტერლინგის კონტრაბანდული სიგარეტი იპოვა. კონტრაბანდისტებზე ბირმინგემში, სასექსში, ნიუკასლში, ნორთემპტონსა და გრეიტ-იარმუტში გამართული სასამართლო პროცესების სერიების შემდეგ, ძაღლის მოკვლისთვის ჯილდოდ 25 ათასი ფუნტი სტერლინგი იქნა დაწესებული.

– მეც მემუქრებოდნენ მოკვლით, – ამტკიცებს ძაღლის პატრონი, 40 წლის სტიუარტ ფილიპსი, – მანქანის საქარე მინა ჩამიმტვრიეს, დამიჭრეს საბურავები. თუმცა ამ ყველაფერს უნდა მოელოდე, როდესაც ასეთ საშინელ ადამიანებს აღიზიანებ.

ფილიპსის თქმით, სიგარეტის გარდა, სკემპი ასევე ფულის ბანკნოტებსაც პოულობს და ამის დახმარებით საზღვარზე უკანონოდ 60 ათასი ფუნტი სტერლინგის გადატანის აღკვეთაც მოხერხდა.

## დამლაგებლის გაუფრთხილებლობამ ქუჩაში გამვლელი იმსხვერპლა



ჰონკონგში ტურისტს, რომელიც სასტუმროს მახლობლად ქუჩაში მიდიოდა, თავში ფანჯრის ჩარჩო დაეცა და დაიღუპა.

21 იანვრის დილას სასტუმროს 39 წლის დამლაგებელმა ქალმა გადაწყვიტა, მე-16 სართულზე ერთ-ერთი ნომერი მასში სიგარეტის სუნის გამო გაენიავებინა. მან ორჩარჩოიანი ფანჯარა გამოაღო. მოულოდნელად გარეთა ჩარჩო მოწყდა და ქუჩაში მიმავალ 24 წლის ტურისტ გოგონას დაეცა.

მომხდარის თვითმხილველებმა სასწრაფო გამოიძახეს. გოგონა საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც ის ორ საათში გარდაიცვალა. მის გვერდით მიმავალმა 36 წლის მამაკაცმა მინის ნამსხვრევებისგან მსუბუქი ჭრილობები მიიღო.

უფროსი ინსპექტორის ჩან კა-ინის თქმით, დამლაგებელი უსაფრთხოების ტექნიკის წესების დაუცველობის ბრალდებით დააპატიმრეს. პოლიცია არკვევს, შედიოდა თუ არა დამლაგებლის მოვალეობაში შენობის განიავება. ასევე პოლიციელები სასტუმროს მფლობელის და სხვა თანამშრომლების დაკითხვას აპირებენ.

## ლურჯენიანმა და ორთავიანმა ხვლიკმა ზოოლოგები გააოცა



ავსტრალიის რეპტილიების პარკში უიშვიათესი ორთავიანი ხვლიკი გამოჩნდა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

ხვლიკს დაარქვეს ლაკი („იღბლიანი“),ვინაიდან მან ასეთი ანომალიით ბუნებრივ პირობებში ზრდასრული ასაკისთვის მიღწევა შეძლო და რაც უკიდურეს იშვიათობას წარმოადგენს. ჩვეულებრივ ასეთი მუტაციით დაბადებულები მალევე იღუპებიან.

რეპტილიების განყოფილების ხელმძღვანელმა დენიელ რამსიმ აღნიშნა, ცხოველები ანომალიებით ველურ ბუნებაში ხშირად დიდ სირთულეებს აწყდებიან ნადირობის და საკვების მიღების დროს, ასევე ხშირად ხდებიან მტაცებლების მსხვერპლი.

– თუმცა ლაკიზე უმაღლეს დონეზე იზრუნებენ და იმედი გვაქვს, რომ დიდხანს და ბედნიერად იცხოვრებს და ის ყველაზე უჩვეულო ხვლიკი იქნება ჩვენ მკვიდრ არსებებს შორის, – განაცხადა ზოოლოგმა. რეპტილია ზოოლოგების ოცდაოთხსაათიანი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება.

## პლასტიკური ქირურგიის მოყვარულს სახეზე ხუთი სანტიმეტრი კანიააჭრეს



ბრაზილიელმა როდრიგო ალვესმა, რომელსაც 500 ათას ფუნტ სტერლინგზე მეტი აქვს დახარჯული პლასტიკურ ქირურგიაზე, სახეზე ხუთსაათიანი ოპერაცია გადაიტანა ცხვირის ფორმის მე-11 კორექციის წინ.

პლასტიკური ქირურგიის 35 წლის მოყვარული სახეზე უხეშ უბნებს უჩიოდა. ამის მიზეზი აღმოჩნდა ფიბროზი – ქრონიკული ანთების გამო შემაერთებელი ქსოვილების გაუხეშება. გარდა ამისა, მისი სახის კანის ქვეშ 200 ძაფი იქნა აღმოჩენილი, რომლებიც, სავარაუდოდ, წარუმატებელი კოსმეტიკური პროცედურის შედეგად დარჩა.

პლასტიკურ ქირურგს, რომელსაც სახის და ტუჩების დასაჭიმად მიმართა ალვესმა, ხუთი საათი დასჭირდა ძაფების ამოსაღებად. გარდა ამისა, მან პაციენტს სახიდან ხუთი სანტიმეტრის კანი აацალა. უახლოეს მომავალში ბრაზილიელი ისევ აღმოჩნდება საოპერაციო მაგიდაზე, ნიკაპისა და ცხვირის ფორმის შესაცვლელად.

## ექიმების ორსაათიანმა მცდელობამ, პაციენტის გული აემუშავებინათ, შედეგი გამოიღო

ჩინეთში ექიმები ორსაათნახევრის განმავლობაში ცდილობდნენ არა პირდაპირი მასაჟით პაციენტის გაჩერებული გული აემუშავებინათ.

ინციდენტი იანვრის დასაწყისში ლიაონინის ტრადიციული ჩინური მედიცინის უნივერსიტეტთან არსებულ საავადმყოფოში მოხდა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 20 ექიმი რიგრიგობით შეუჩერებლად უკეთებდა მამაკაცს, სახელად ჩჟანს, გულის რეანიმაციისთვის



საჭირო პროცედურებს. მამაკაცი 150 წუთის განმავლობაში კლინიკური სიკვდილის მდგომარეობაში იმყოფებოდა. ამ დროის მანძილზე მისი მკერდის არეზე 15 ათასამდე დაწოლა განხორციელდა.

ჩვეულებრივ ჩინეთის საავადმყოფოებში რეანიმაციის სტანდარტულ დროდ 50 წუთი ითვლება. ამ შემთხვევაში კი ექიმებმა იმის გამო გადაწყვიტეს ჩჟანის სიცოცხლის გადასარჩენად ასეთი დიდი დროის განმავლობაში ებრძოლათ, რომ არაპირდაპირი მასაჟის დროს სამედიცინო აპარატურა გულის სუსტ მოქმედებას აფიქსირებდა.

მამაკაცის ოჯახის წევრებს მისი დაკრძალვისთვის მზადება უკვე დაწყებული ჰქონდათ, როდესაც შეიტყვეს, რომ ექიმებმა მისი გულის ცემის აღდგენა შეძლეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## ასტროპროგნოზი

### 24 იანვრისათვის



**ვერძი** – დღეს საქმიანი კონტაქტები სიამოვნებას არ მოგანიჭებთ. ცდუნებას არ აჰყვეთ. **კურო** – ემოციები მოთოკეთ. გადაწყვეტილებას ცხელ გულზე ნუ მიიღებთ. **ტყუპები** – ახალი საქმე შეგიძლიათ დაგეგმოთ, მაგრამ მათი რეალიზაციისაგან ჯერჯერობით თავი შეიკავეთ. **კირჩხიბი** – საქმე ეტაპობრივად აკეთეთ. ნუ გადაიღლებით. ავტორიტეტს გაუფრთხილდით. **ლომი** – რეალობა სათანადოდ შეაფასეთ. შემოთავაზებულ წინადადებას დაუფიქრებლად არ დათანხმდეთ. **ქალწული** – კრიტიკული დღეა. კონფლიქტში ჩართვა დაუშვებელია. ჯანმრთელობას მიხედეთ. **სასწორი** – ფინანსებს გაუფრთხილდით. არავის ენდოთ. გულის კარნახით იმოქმედეთ. **ღრიანკალი** – ახალ საქმეში ხელმძღვანელობა მხარს გიჭერთ. დაკისრებული მოვალეობა მთელი სერიოზულობით შეასრულეთ. **მშვილდოსანი** – ნებისმიერი საქმე გულმოდგინედ და პროფესიონალურად აკეთეთ. კოლექტიური მუშაობა ნაყოფიერი იქნება. **თხის რქა** – კრიტიკული დღეა. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მისაღებად მზად იყავით. **მერწყული** – მეტი დრო დაუთმეთ სულიერებას. უმჯობესია, განმარტოვდეთ. სხვის საქმეში ნუ ჩაერევით. **თევზები** – მოულოდნელი ინფორმაციის გამო გეგმები შეგეცვლებათ. ქუჩაში მოძრაობისას იფრთხილეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ძველი ბერძენი მოქანდაკე, ნეფერტიტის ბიუსტის ავტორი; 2. მძიმე თხევად საწვავზე მომუშავე შიგაწვის ძრავა; 3. მდინარე აშშ-ში; 4. ორგანიზმის მემკვიდრეობითობისა და ცვალებადობის შემსწავლელი ბიოლოგიის ნაწილი; 7. პირფერული ქება; 8. მკურნალობის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 12. ღვინის მწარმოებელი ფირმა საქართველოში; 14. მდინარე შუა-აზიაში; 16. ბრაზილიის ფეხბურთელთა გუნდი; 17. დედამიწის ჩრდილო პოლარული ზონა; 19. უკრაინის პარლამენტი; 20. გემის მზარეული.

**თარაზულად:** 5. რაიმეს არასრულფასოვანი შემცვლელი; 6. პრეზიდენტის სასახლე რომში; 9. შტატი აშშ-ში; 10. დუმფარასნაირთა ოჯახის, წყალზე მცურავი ყვავილოვანი მცენარე; 11. პორტატული გეოდეზიური ხელსაწყო; 13. მომღერალი პოეტი-მუსიკოსი შუა-აზიაში; 15. აფხაზეთში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 18. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური ირანში; 21. მორიელის ძველი ქართული სახელწოდება; 22. ფრინველთა კვერცხების შემსწავლელი ორნიტოლოგიის ნაწილი; 23. ლუდის მწარმოებელი ფირმა საქართველოში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. ზაქათალა; 2. ზალპი; 3 დეპარდიე; 4 იამაჰა; 7 ცეისი; 9. სიმდი; 12 სტეფენსონი; 14. პლებეი; 15. იზაბელა; 17. ჰეზბოლა; 20 კრირი.

**თარაზულად**: 5. საგურამო; 6. იკებანა; 8 ჰიპოგეა; 10. მასანდრა; 11 ილუზია; 13. ოპერეტა; 16. ვილჰელმი; 18. მედეა; 19. რანჩო; 21. ტრიერი; 22. გლიპტიკა; 23. დუბლინი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. გლობუსი; 2. ტიგელი; 3. არველაძე; 4. გეორგიკა; 7. კონვეიერი; 8. ტრონბონი; 12. სკალპელი; 14. მატაბელი; 16. კოლაფსი; 17. გამბიტი; 19. ლეგო; 20. ზღვა.

**თარაზულად**: 5. ღლიღვები; 6. ვირსალაძე; 9. მაჟალო; 10. ლოკალი; 11. ლოიდი; 13. ოკაცე; 15. ტაბიძე; 18. ბონდი; 21. შემოქმედი; 22. ფარღული; 23. ჰონვედი.

# გიორგი ყიფშიძე „ქართულ ოცნებას“ აგინებს



მსახიობი გიორგი ყიფშიძე „ქართულ ოცნებას“ აგინებს.

თუმანიშვილის კინომსახიობთა თეატრის მსახიობმა მთავრობა დილეტანტიზმში დაადანაშაულა:

– არაფერი საინტერესო არ ხდება, არც ხელფასს თავის დროზე არ გვაძლევენ და საერთოდ ამ მთავრობას მო.....ნ დილეტანტი დედები მე... გულის ამრევები ესენი.

გიორგის განცხადებას სოციალურ ქსელში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. მას ინტერნეტმომხმარებლებმა შეახსენეს, რომ სწორედ გიორგი და ზურა ყიფშიძეები იყვნენ, ვინც სალომე ზურაბიშვილის მხარდამჭერ რგოლში 48-ს ჯიუტად გაიძახოდნენ. სწორედ ამიტომ გიორგის მხრიდან „ქართული ოცნების“ კრიტიკა ბევრისთვის გასაკვირი აღმოჩნდა.

# მსახიობებს ბადრი კაკაბაძეს და გია ტყეშელაშვილს ჯანმრთელობის პრობლემები აქვთ





რუსთავის გიგა ლორთქიფანიძის სახელობის თეატრის მსახიობებს ბადრი კაკაბაძეს და გია ტყეშელაშვილს ჯანმრთელობის პრობლემები აქვთ.

ინფორმაცია ამის შესახებ რუსთავის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, რეჟისორმა სოსო ნემსაძემ გაავრცელა:

– ჩვენი თეატრის გიგა ლორთქიფანიძის სახელობის რუსთავის პროფესიულ დრამატული თეატრის ორ მსახიობს, უნიჭიერეს ადამიანებს გია ტყეშელაშვილსა და ბადრი კაკაბაძეს აქვთ ჯანმრთელობის პრობლემები.

გია უკვე რამდენიმე წელია მკურნალობის ეტაპებს გადის, რის გამოც ველარ ითამაშა ბოლოს დადგმულ სპექტაკლებში, ბადრიმ კი არაჩვეულებრივი სახე შექმნა რუსთავის თეატრში ბოლო პერიოდში დადგმულ სპექტაკლში ,,კვარტეტი“.

მინდა გთხოვოთ, გვერდით დავუდგეთ ჩვენს შესანიშნავ მსახიობებს და დავეხმაროთ სწრაფად გამოჯანმრთელებაში. მოგეხსენებათ, მკურნალობა რა ხარჯებთან არის დაკავშირებული. გვაქვს თქვენი გულისხმიერებისა და თანადგომის იმედი.

პ.ს. მსახიობების დასახმარებლად მათ სახელზე ლიბერთი ბანკში სპეციალური ანგარიშებია გახსნილი.

# სამგლოვიარო განცხადებები



ავთანდილ და ნანა წერეთლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ჟურნალისტისა და ტელეწამყვანის

**ლევან ჩხაიძის**

გარდაცვალების გამო.

უსამძიმრებენ ოჯახს, ტელეკომპანია „პირველის“ გუნდს და მეგობრებს. ეს არის უდიდესი დანაკლისი ყველა ჩვენგანისთვის.

---

უახლოესი მეგობრები ნუგზარ გადელია, რევაზ გოგოხია, ირაკლი კალანდია, ნუგზარ პაიჭაძე, ლონგი ფარცვანია, კარლო ღურწკაია, ჯემალ ხარებავა, თემურ ხევსურიანი, მერაბ ჯიქია ოჯახებით გულწრფელ თანაგრძნობას უცხადებენ ნაპოლეონ და ბიძინა ლემონჯავებს მეუღლისა და დედის, გამორჩეული პედაგოგისა და ოჯახის დედაბოძის, ქალბატონი

**ნათელა ქუჩულორია-ლემონჯავას**

გარდაცვალების გამო.

---

ლემონჯავების საგვარეულო იზიარებს მწუხარებას საგვარეულოს საპატიო წინამძღოლის, პროფესორ ნაპოლეონ ლემონჯავას მეუღლისა და პროფესორ ბიძინა ლემონჯავას დედის

**ნათელა ქუჩულორია-ლემონჯავას**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

*საგვარეულოს სახელით, პარმენ ლემონჯავა*

---

მანანა და სოსო ნაყოფიები თანაუგრძნობენ ლამზირა და მზია მარშანიების ოჯახებს უძვირფასესი ძმის

**ვალტერ ბარდღას ძე მარშანიას**

გარდაცვალების გამო და გულწრფელ სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

დაკრძალვა: 24 იანვარს, დარჩელში, ზუგდიდის რაიონი.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ნიკა გვარამია: „მხოლოდ ქართულის“ ავტორი ვარ მე!“



ეს განცხადება უამრავი შეკითხვით შეწუხებულმა „რუსთავი 2“-ის დირექტორმა ნიკა გვარამიამ გააკეთა:

– ბევრი შეკითხვის პასუხად, საჯარო განმარტება:

პროექტ „მხოლოდ ქართულის“ ავტორი ვარ მე, ნიკა გვარამია.

დაპატენტებული მაქვს, მეკუთვნის მხოლოდ მე და პირადად ვაწარმოებ რამდენიმე ქვეყანასთან მოლაპარაკებას მის გაყიდვაზე.

„რუსთავი 2“-ს უფასოდ ვაძლევ, ნაცნობობით.

# თაკო გაჩეჩილაძე გოგონას დედა გახდა



მომღერალი თაკო გაჩეჩილაძე გოგონას დედა გახდა. პატარა ვენაში დაიბადა და მას გაბრიელა დაარქვეს. დედა-შვილი თავს კარგად გრძნობს.

თაკო გაჩეჩილაძე ბულგარელ ხელოვანზე ბორის მილანოვზე გათხოვდა და ხელის მოწერის შემდეგ, ქმრის გვარზეც გადავიდა. თაკომ და ბორისმა ერთმანეთი ევროვიზიაზე გაიცნეს, სადაც თაკო საქართველოს წარადგენდა.

ბორის მილანოვი წარსულში ფეხბურთელი იყო, შემდეგ კი მუსიკის წერა დაიწყო. ასე აღმოჩნდა მუსიკალურ სამყაროში, სადაც დღეისთვის კარგად არის ცნობილი. ბორისმა კომპანია დააფუძნა, რომელიც არტისტებთან მუშაობს და კონცერტებს უწევს ორგანიზებას.

# დათო გომართელი: „მე ვებრძვი ვაკის პარკში სასტუმროს აშენებას!“



მომღერალი დათო გომართელი თბილისში მიმდინარე გამალებული მშენებლობების წინააღმდეგია:

– მე ვებრძვი ვაკის პარკში სასტუმროს აშენებას! მე ვებრძვი „პანორამა თბილისს“! მე ვებრძვი მიტოვებულ და გაპარტახებულ ქალაქის შუაგულში აბრეშუმის ქარხნის ტერიტორიას!

მე ვებრძვი კუს ტბის ტერიტორიაზე მშენებლობებს! მე ვებრძვი ასობით მიტოვებულ, მოუვლელ პარკს, ბაღს თუ სკვერს! მე ვებრძვი ქალაქის ცენტრში, ვერაზე, ვაკეში, მთაწმინდაზე... მასშტაბურ მშენებლობებს!

მე ვებრძვი მამადავითის ქვეშ მრავალსართულიან კორპუსებს! მე ვებრძვი რუინებად ქცეულ გუდიაშვილის მოედანს! მე ვებრძვი აბანოთუბანში, მთის ფერდობის განაშენიანებას!

მე ვებრძვი მოუვლელ, დაბინძურებულ, ნაგვით გადატენილ, ჟანგბადგამოცლილ, სახედაკარგულ თბილისს და მე ვებრძვი ორმაგ სტანდარტს!

მე ვიბრძვი და ვიბრძოლებ მშენებლობებისგან ვაკის პარკის და ზოგადად, მთელი თბილისის გადასარჩენად!

# თავისუფალ თეატრში 18 წლამდე მაყურებელს არ უშვებენ




თავისუფალ თეატრში 18 წლამდე მაყურებელს არ უშვებენ. ამის მიზეზი რეჟისორი იოანე ხუციშვილი და მისი ახალი სპექტაკლია.

„მუდამ ერთად“ – ასე ეწოდება წარმოდგენას, რომელიც ანკა ვისდეის პიესის „მუდამ ერთად“ მიხედვით დაიდგა და 25 იანვარს იქნება წარმოდგენილი.

პიესის თარგმანი გიორგი ეკიზაშვილს ეკუთვნის, მხატვრობა თეო კუხიანიძეს, მუსიკალური გაფორმება გიორგი ჯიქიას, ვიდეო ინსტალაცია ნიკოლოზ ადუაშვილს, ფოტოგრაფია კახაბერ შარტავას.

სპექტაკლში მხოლოდ ორი მსახიობი ნინო ფილფანი და თამუნა ნიკოლაძე მონაწილეობენ.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# კირა მებუკე მახათას პანთეონში დაკრძალეს



პანტომიმის დედოფალი კირა მებუკე მახათას პანთეონში მეუღლის, ამირან შალიკაშვილის გვერდით დაკრძალეს.

მსახიობი და რეჟისორი უკანასკნელ გზაზე მეგობრებმა, კოლეგებმა, მისმა სტუდენტებმა და რიგითმა მაყურებლებმა გააცილეს.

სამოქალაქო პანაშვიდები პანტომიმის თეატრში მიმდინარეობდა. სწორედ პანტომიმის თეატრიდან გამოასვენეს ხელოვანი და მახათას პანთეონში დაკრძალეს.

ანუკა მურვანიძე, ვიზაჟისტი:

– მახსოვს, შარშან მაგრად ვიქეიფეთ ახალ წელს. მაგარი დრო ატარა კირა დეიდამ. გვეუბნებოდა, თქვე ბებრებო, იცეკვეთო. ჰოდა, წამოხტა თავად, აგვაყენა ყველა ფეხზე და გვაცეკვა. წრე შემოვარტყით და წრის შუაგულში იცეკვა. მთელი რესტორანი გაოგნებული უყურებდა. იყო ხალისი და ბევრი სიხარული.

შარშან ერთი დიდი მოვსცხეთ და... მორჩა!

ძაან მენანება ამ ადამიანის წასვლა. საყვარელ და თბილ ადამიანს გამოვესალმეთ.

# ქალს ფულით სავსე დაკარგული კონვერტი უცნობმა დაუბრუნა



ამერიკის ნიუ-იორკის შტატის მცხოვრებმა ტერი ბრუბეიკერმა ქუჩაში რამდენიმე ათასი დოლარი იპოვა და ის მის მფლობელ ქვრივს დაუბრუნა.

ბრუბეიკერი ფულტონის ოლქის ქალაქ გლოვერსვილის ქუჩაზე მიდიოდა, როდესაც ჰაერში მოფარფატე ფულები დაინახა. ის შეჩერდა, ფულები მოაგროვა და პოლიციის განყოფილებაში მიიტანა. სულ მან 8 ათასი დოლარის შეგროვება შეძლო, დანარჩენი სხვა ადამიანებმა იპოვეს.

იმავე დროს პოლიციის განყოფილებაში კიმ სტინბურგი განცხადებას წერდა 8,5 ათასი დოლარის დაკარგვის თაობაზე. მისი თქმით, ფულით სავსე კონვერტი შემთხვევით ავტომობილის სახურავზე დარჩა, სანამ ნათესავის ბავშვს მანქანის ბავშვის სავარძელში სვამდა. ამ თანხის ნაწილით ის მამის საკუთრების გადასახადის დაფარვას აპირებდა, ხოლო მეორე ნაწილით კრუიზის თანხის ანაზღაურებას, სადაც მეუღლესთან ერთად თაფლობის თვეის გატარებას აპირებდა, მაგრამ ის ავარიაში დაიღუპა.

ქვრივი შეეცადა მადლობის ნიშნად ბრუბეიკერისთვის ფულის ნაწილი მიეცა, მაგრამ მან უარი თქვა და მაშინვე წავიდა. ქალი მაინც აპირებს კრუიზში წასვლას და მეუღლის ფერფლის ოკეანეში მიმოფანტვას.

## კალეიდოსკოპი

# იშვიათმა დაავადებამ ბანგლადეშელი „ადამიან-ხედ“ აქცია



ბანგლადეშის საავადმყოფოში იშვიათი დაავადების გამო „ადამიან-ხედ“ შერქმეული აბულ ბაჯანდარი იქნა მოთავსებული. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ჩინური გამოცემა ავრცელებს.

ბაჯანდარი ვეროციფორმული ეპიდერმოდისპლაზიითა დაავადებული, რომლის დროსაც სხეულზე ისეთი ნაწიბურები წარმოიქმნება, რომელიც ხის ქერქს წააგავს. 2016 წელს იმ მომენტისთვის 26 წლის მამაკაცმა დახმარებისთვის პირველად მიმართა ექიმებს. მათ ბაჯანდარს სხეულიდან ხუთ კილოგრამზე მეტი გაუხეშებული კანი ააცალეს.

ამ ხნის მანძილზე ბანგლადეშელმა 25 ოპერაცია გადაიტანა, ფაქტიურად საავადმყოფოში დასახლდა და მკურნალობის ხანგრძლივი კურსი გაიარა. ექიმებმა ჩათვალეს, რომ დაავადება უკვე დაამარცხეს, თუმცა გასული წლის მაისში სიმპტომები ისევ მწვავედ გამოვლინდა. მაშინ მამაკაცი საავადმყოფოდან გაიქცა ალტერნატიული მკურნალობის მოსაძებნად.

თუმცა მას სხვა ვერავინ დაეხმარა და საბოლოოდ ბაჯანდარი 20 იანვარს საავადმყოფოში დაბრუნდა. მისი მდგომარეობა ძალზე გართულდა. ახლა უკვე მას გამონაზარდებით თითქმის მთლიანად აქვს დაფარული ხელის მტევნები და ფეხის ტერფები.

პლასტიკური ქირურგის სამანტა ლალ სენის თქმით, მამაკაცის მკურნალობას მალე დაიწყებენ და იქვე ხაზგასმით აღნიშნა, რომ მათ თერაპიის დაწყება თავიდან მოუწევთ.

ამავე დროს ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ მამაკაცს მკურნალობის საფასურის გადახდა არ მოუწევს და რომ მას ყველაზე ძვირადღირებულ პალატაში მეუღლესთან და თავის გოგონასთან ერთად მოათავსებენ.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**24 იანვრისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.6611 | ევრო — 3.0233 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4363 | 100 რუსული რუბლი — 3.9996 |

## ამინდის პროგნოზი 24 იანვრისთვის





## 15 იანვრიდან




ჯემალ ჩახავა
**ქურდები და არიფები**

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

## 17 იანვრიდან

ავთანდილ ბუხრაშვილი
**ვინ მოკლა ინსპექტორი**

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი







## 22 იანვრიდან

მაკა სეფაშვილი
**დანაშაული აღარ მოხდება**

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი


## ხამესს ბაიერნიდან წასვლა სურს



მიუნხენის ბაიერნის კოლუმბიელ ფორვარდს ხამეს როდრიგესს ბაიერნიდან წასვლა სურს, რადგან ის ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ხვდება.

ხამესზე უფლებები კვლავინდებურად რეალს ეკუთვნის, ამიტომ ის შესაძლოა მადრიდში დაბრუნდეს.

ხამესის შეძენა რამდენიმე ინგლისურ კლუბსაც სურს, მათ შორის არის ტოტენჰემი, რომელსაც შეტევაში პრობლემები აქვს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## რესტორანში გოგონებს ბართან ჯდომა აუკრძალეს

ბრიტანელმა კლემენტინა კროუფორდმა განაცხადა, რომ ნიუ-იორკის რესტორან ნელოს თანამშრომლებმა ქალებს ბარის დახლთან ადგილის დაკავება აუკრძალეს. საკუთარი უსიამოვნო შემთხვევა კროუფორდმა სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ ტექსტში „საღამო, როდესაც მე მეძავად ჩამთვალეს“.

როგორც დაწესებულების თანამშრომლებმა გოგონას



განუმარტეს, ეს ღონისძიება მეძავეობასთან მათი ბრძოლის საშუალებას წარმოადგენს.

ლონდონის მკვიდრმა განმარტა, რომ აღნიშნულ დაწესებულებას არაერთხელ სტუმრობდა ნიუ-იორკში მივლინებებით ყოფნის დროს, თუმცა მისი ბოლო ვიზიტის დროს, მას პირველად აუკრძალეს ბართან ადგილის დაკავება.

როგორც გაირკვა, დაწესებულების მფლობელმა გადაწყვიტა, რომ მეძავები შესაძლოა თავიანთ კლიენტებს ბართან ჯდომის დროს უცდიდნენ და იმისთვის, რომ ასეთი რამ არ დაეშვა, განკარგულება გასცა, რომ დახლთან ჯდომის შეზღუდვა შემოეღოთ ქალებისთვის.

კროუფორდის ამ სტატიის შემდეგ დაწესებულების რეიტინგი მკვეთრად დაეცა, სოციალური ქსელები კი უკმაყოფილო კომენტარებით გაივსო. ჟურნალისტებმა აღნიშნულზე კომენტარის გაკეთება რესტორნის წარმომადგენლებს სთხოვეს, თუმცა უარი მიიღეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი

ცოლი და ქმარი კამათობენ. ცოლი ეუბნება:

— ოჯახის უფროსი შენ ხარ და შენვე გადაწყვიტე.

— მე რატომ ვარ? მე და შენ ხომ ერთად ვიღებდით გადაწყვეტილებებს...

— სულ ერთია, შენ ხარ ოჯახის უფროსი!

— რატომ მე?

— ნუ მეკამათები! ვთქვი და მორჩა!

●●●

სოფელში სტუმრად ჩასული ქალაქელი გოგონა ბებიას ეკითხება:

— ბებო, აქ ღამით გავლა სად შეიძლება?

— „ვედროში“ შვილო.

●●●

კაფედან გამოსული დაქალები ხედავენ, რომ მათ მანქანას საბურავები აღარ უყენია. ერთი მეორეს ეუბნება:

— ხომ გეუბნებოდი, რომ ის საგზაო ნიშანი ქუჩის კუთხეში „ფრთხილად ბავშვებია“, რასაც ნიშნავდა, შენ კი მიპასუხე, ბავშვებმა რა უნდა გვიქნანო? აჰა, და დარწმუნდი?!

●●●

თვითმფრინავში მოხუცი მგზავრი ბორტგამცილებელ გოგონას თავისთან იხმობს და ეუბნება:

— შვილო, კარი გამიღე, უნდა ჩავიდე.

— რას ამბობთ? 7000 მეტრის სიმაღლეზე ვართ!

— გამიღე, სახლში მივდივარ, აქვე ახლოს ვცხოვრობ.

გაოგნებული გოგონა პილოტთან მიირბენს და ეუბნება:

— იქ ვიღაც არა ნორმალური კარის გაღებას და ჩასვლას ითხოვს!

პილოტმა გამოხედა კაბინიდან და გოგონას ეუბნება:

— გაუღე, გაუღე. ეგ სულ ყოველთვის აქ ჩადის!

●●●

კაცი და ქალი აბაზანაში ნებივრობენ. ამ დროს კაცის ტელეფონი რეკს. აიღო ყურმილი, ისაუბრა და ისევ დაკიდა, შემდეგ კი ქალს ეუბნება:

— ცოლმა დამირეკა, მითხრა, რომ შენთან ერთად სილამაზის სალონშია...

●●●

ცოლი ქმარს ეხვეწება:

— ყურები გამიხვრიტე, საყურეების ტარება რომ შევძლო.

— შე შობელძაღლო, რაც ჩემი გასახვრეტი იყო, სხვას გაახვრეტინე და მე ყურების გახვრეტას მთხოვ?!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## დელე ალი მოედანზე მარტში დაბრუნდება



ტოტენჰემის ფორვარდმა დელე ალიმ ფულჰემთან შეხვედრაში ტრავმა მიიღო და ის სავარაუდოდ თვენახევარი ვერ შეძლებს მოედანზე გამოსვლას.

ალიმ თავის ტვიტერის გვერდზე მადლობა გადაუხადა გულშემატკივრებს და იმედი გამოთქვა, რომ მალე შეძლებს თამაშს.

ტოტენჰემს ბოლო პერიოდში შეტევაში პრობლემები შეექმნა, რადგან ჰარი კეინმა სერიოზული ტრავმა მიიღო, ჰიონ მენ სონი კი აზიის თასზე გაემგზავრა.

თებერვალი ტოტენჰემისთვის საკმაოდ რთული იქნება, თუ ის ახალ ფორვარდს არ შეიძენს.

## ნეიმარი: „პსჟ-დან წასვლას არ ვაპირებ“



პსჟ-ს ვარსკვლავმა ნეიმარმა თავის მომავალზე ისაუბრა და თქვა, რომ არ აპირებს ამ გუნდის დატოვებას, რადგან მას ყველაფერი აკმაყოფილებს პარიზში.

ნეიმარის თქმით, მას საფრანგეთის ჩემპიონატთან შეგუება არ გასჭირვებია:

— საფრანგეთის ჩემპიონატი ძალიან ჰგავს ესპანეთის პირველობას, ამიტომ შეგუება არ გამჭირვებია. პსჟ-ში ბედნიერი ვარ, ამიტომ სხვა გუნდებზე არ ვფიქრობ. ჩემზე რაც იწერება, ბევრი რამ სიცრუეა.

ზაფხულში აქტიურად ვრცელდებოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ნეიმარი რეალში აპირებდა გადასვლას.

## ალექსანდრ მოსტოვოი: „ანანიძემ სპარტაკში ღირებული ვერაფერი გააკეთა“



ყოფილმა რუსმა ფეხბურთელმა და ამჟამად სატელევიზიო ექსპერტმა ალექსანდრ მოსტოვოიმ ჯანო ანანიძეზე ისაუბრა და თქვა, რომ მისი სპარტაკიდან წასვლა ლოგიკურია. მოსტოვოის თქმით, ანანიძემ ბოლო წლებში სპარტაკში ცოტა შეხვედრა ჩაატარა.

— ანანიძე სპარტაკს ვერ ეხმარებოდა, მას მუდმივად ჰქონდა ტრავმები და ლოგიკურია, რომ ჯანომ სპარტაკი დატოვა. შესაძლოა ის ნიჭიერი ფეხბურთელია, მაგრამ ნიჭის გამოვლენა მან ბოლომდე ვერ შეძლო, — განაცხადა მოსტოვოიმ.

## სანტიაგო სოლარი: „რეალის ძირითადში გარანტირებული ადგილი არავის აქვს“



მადრიდის რეალის მთავარმა მწვრთნელმა სანტიაგო სოლარიმ განაცხადა, რომ რეალში ძირითად შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული არავის აქვს და ეს ყველას ეხება. სოლარიმ ამ შემთხვევაში ყურადღება მარსელოზე გაამახვილა, რომელიც ბოლო შეხვედრებში ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება:

— მარსელო ძალიან ძლიერი ფეხბურთელი და მას დიდ პატივს ვცემ, თუმცა რეალში დიდი კონკურენციაა, ამიტომ ის შესაძლოა ზოგჯერ ძირითადი შემადგენლობის მიღმა დარჩეს. ეს ნორმალური პროცესია.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. აღდგომის მისალოცი სიმღერა; 2. მრავალჯერადი გამოყენების ამერიკული კოსმოსური ხომალდი; 3. ქართული ლუდი; 5. დადუღებული ყურძნის წვენი; 6. სამონასტრო კომპლექსი იმერეთში; 8. ლეჩხუმში გავრცელებული წითელყურძნიანი ვაზის ქართული ჯიში; 10. რაიონული ცენტრი კახეთში; 12. ავტონომიური ოლქი ესპანეთში; 14. აეროპორტი კაიროში; 15. ტროპიკული პალმის ნაყოფი; 16. ჟანგბადისა და წყალბადის ქიმიური ნაერთი.

**თარაზულად:** 1. გალაკტიონ და ტიციან ტაბიძეების მშობლიური სოფელი; 4. უდიდესი ქრისტიანული დღესასწაული; 7. სოფელი ხევსურეთში; 9. ანსამბლ „ბიტლზის“ ერთ-ერთი წევრი; 11. ქართველი ფრენბურთელი მამაკაცი, ოლიმპიური ჩემპიონი; 12. სახელმწიფო ევროპაში; 13. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი აუქციონი; 17. თაღლითი ბანქოს თამაშში; 18. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ფირმა; 19. პროფესიონალი მაბეზღარა, დამსმენი, შანტაჟისტი ძველ საბერძნეთში; 20. ფრანგი კომპოზიტორი, მოჭადრაკე, ჭადრაკის თეორეტიკოსი.



**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**